შეიძლება დავასკვნათ, რომ უკანასკნელ წლებში მოხდა გოგირდწყალბადიანი ზედაპირის ნიშნადი ამოწევა, რაც აიხსნება ორგანული ნივთიერებით ზღვის დაბინძურების გაზრდით. გამყოფი ზედაპირის ანომალური (მთელი რიგით მეტი) ამოზიდვა ბათუმთან და მახინჯაურთან დაკავშირებული უნდა იყოს სისტემატურ

ინტენსიურ საწარმოო დაბინძურებასთან. ამრიგად, გვეძლევა საფუძველი, რომ გამყოფი ზედაპირის ცვლებედობა მივიჩნიოთ სანაპირო ზოლის დაბინძურების უნივერსალურ მაჩვენებლად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
საინჟინრო გეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის  
ინსტიტუტი

Г.И.Буачидзе, И.М.Буачидзе

## Положение сероводородной поверхности Черного моря у побережья Аджарии

Резюме

Даются результаты измерений глубин поверхности раздела кислород-сероводород с связи с изменениями за 20 лет (начальный интервал 200-220 м).

Современная средняя глубина значительно уменьшена на 5 м и составляет 195 м, что указывает на увеличение скорости подъема поверхности раздела; у Батумского порта исследуемая величина меньше на 40-50 м из-за аномального увеличения внедрения органического материала (вероятно промышленное загрязнение). Т.о. имеется основание считать глубину залегания поверхности раздела универсальным показателем загрязнения прибрежной полосы.

GEOCHEMISTRY

G. Buachidze, I. Buachidze

## Hydrogen Sulphide Surface Disposition in the Black Sea within Adjara Shore

Summary

The results of the depth measurements of the oxygen-hydrogen sulphide interface are given in terms of the changes which have taken place for the last 20 years (the previous interval was 200-220 m). Nowadays the average depth is 5 metres less, and in Batumi port environs this value is even 40-50 metres less due to increased penetration of the organic matter (pollution is possible). So, the depth of this interface could be universal index of pollution on the seashore.

### ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Г.И.Буачидзе. Геотектоника, 2, 1977.
2. А.В.Месхетели, Г.И.Буачидзе и др. Результаты исследований комплексной экспедиции в восточной части Черного моря. Фонды ИВП АН СССР, М. 1974.
3. П.Т.Данильченко, Н.И.Чигирин. Труды Севастопольской биостанции АН СССР, сер. 2, 10, 1926.
4. W.Deuser. Science, 168, 3939, 1970.
5. K.Emery, J.Hunt. In: The Black Sea - Geology, Chemistry and Biology. AAPG, Tulsa, USA, 1974.
6. H.Jannasch, H.Truper, H.Tuttle. In: The Black Sea. AAPG, Tulsa, USA, 1974.
7. E.Degens, D.Ross. Oceanographic expedition in the Black Sea: a preliminary report, No 24300, 1969.
8. R.Scholten. In: The Black Sea. AAPG, Tulsa, USA, 1974.
9. W.Deuser. In: The Black Sea. AAPG, Tulsa, USA, 1974.
10. А.П.Виноградов, А.Л.Девирци и др. Геохимия, 9, 10, 1968
11. I.Buachidze. In: The Black Sea. AAPG, Tulsa, USA, 1974.






გ. ქაშაყაშვილი, ვ. ჭეიშვილი, ვ. ბააკაშვილი, გ. ქობალავა, გ. კაპანაძე

### რუსთავის მეტალურგიული კომბინატის წვრილსორტული დგან „320“-ის რეკონსტრუქცია

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. გორდანიამ 14.06.1993)

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის წვრილსორტული საამქროს დგან „320“-ის რეკონსტრუქცია ითვალისწინებს მოდერნიზაციის ორ ეტაპს: პირველი ეტაპით გათვალისწინებულია დგან „320“-ის სუფთა ხაზში დაიდგას ახალი მგლინავი 7-11 უჯრები და გლინვისათვის გამოყენებულ იქნეს ამჟამად მოქმედებაში მყოფი პირველი ექვსი უჯრა. წვრილსორტული პროფილების გლინვა რეკონსტრუქციის I ეტაპის შესაბამისი ტექნოლოგიით განხორციელდება I სურათზე მოცემული სქემის მიხედვით. მე-3 და მე-4 მუშა უჯრები, რომლებიც განლაგებულია ერთმანეთის მიყოლებით, ქმნიან ორუჯრიან უწყვეტ ჭვავს საერთო რედუქტორით, ხოლო მე-5 და მე-6 უჯრები განლაგებულია ერთ ხაზში და აქვთ, რა თქმა უნდა, ერთი საერთო რედუქტორი. აღსანიშნავია, რომ მოქმედებაში მყოფი 3-6 უჯრები მოიყვანება მოძრაობაში საერთო ამძრავის მეშვეობით, რომლის სიმძლავრეა 1800 ცხ. ძალა (600 ბრ/წუთში).



დგანის სრულ მოდერნიზაციასთან შედარებით არსებული პროდუქციის სორტამენტი შეზღუდულია. დგანზე იგლინება მხოლოდ Ø16-დან 30 მმ-მდე მრგვალი ფოლადი, №16 და №28 არმატურა, ანუ პერიოდული პროფილი და კვადრატული ფოლადი 18 მმ.


თითქმის ხუთი ათეული წელი ექსპლუატაციაში მყოფი საგლინავი დგანი „320“ ამჟამად ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მას უყენებენ ნაგლინის ხარისხისა და სორტამენტის მიხედვით. ამიტომ დაისვა საკითხი ამ დგანის რეკონსტრუქციის შესახებ.

წვრილსორტული დგანი რეკონსტრუქციის შემდეგ (სურ. 2) წარმოდგენილ იქნება მომჭიმავი შავი „400“/„370“. შუალედური, ანუ მოსამზადებელი „320“ და სუფთა „270“ სამი უწყვეტი ექვსუჯრიანი ჭვავებით. ყველა მუშა უჯრა შედგება ჰორიზონტალურად განლაგებული წვრილი გლინებისაგან. ხაზური ტიპის დგან „320“-ის ნაცვლად,

სურ.1. წვრილსორტული ნახევრადუწყვეტი დგან „320“-ის I-XI მუშა უჯრები; 1. ნაგლინის მიწოდების მიმართულება; 2. მარჯუეთი; 3. ნაგლინის ზოლი.

რომელიც მოქმედებაშია 1954 წლიდან, დაიდგმება და გაიშვება თანამედროვე მალალ სიჩქარეებზე მომუშავე ფართო ასორტიმენტის უწყვეტი ღგანი „270“.

სრულად მოდერნიზებული ღგან „320“-ის ნაცვლად უწყვეტი ღგან „270“-ის  
გ ა ნ ლ ა ბ ე ბ ი ს ს ქ ე მ ა



სურ. 2 I ნაშადების გამზურბელი მოწყობილობა; II მიმწოდებელი როლგანგები; III მურინავი მაკრატლები; IV თერმული განმტკიცების უბანი; V მაცივარი; 1-18 მუშა უჯრების ნომრები.

უნდა აღინიშნოს, რომ გლინვის მოქმედი ტექნოლოგიური სქემით (რეკონსტრუქციის შემდეგ), ფოლადის ზოლი პირველი, მესამე და მეხუთე უჯრებიდან გამოსვლისთანავე მოითხოვს მობრუნებას 90°-ით, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება პროფილის სიზუსტის დაცვა ფორმისა და ზომების მიხედვით. ნათქვამის გათვალისწინებით, ღგან „320“-ის სრული რეკონსტრუქციის შედეგად პირველ მუშა უჯრასა და II-ს შორის, მესამესა და მეხუთე მუშა უჯრებთან მიერთებულია მიმყოლი გადაწყვირებელი უჯრები.

რეკონსტრუქცია ტექნიკურად შესაძლებელს ხდის ღგან „270“-ზე გაიგლინოს, 2590-71 სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით, მრგვალი ფოლადი Ø 12-30 მმ, 5781-82 მიხედვით საარმატურე პერიოდული ფოლადი № 12- № 28 და 2591-71-ის შესაბამისად კვადრატი Ø 18 მმ. ზემოთ აღნიშნული პროფილების მისაღებად გამოიყენება ჩვეულებრივი ხარისხის ნაბშირბადოვანი ფოლადი, ხარისხული კონსტრუქციული და მცირედლირებული ფოლადები, მიღებული შემდეგი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, 3080-71, 1050-74 და 5781-82.

ყველა ანგარიში (კალიბრების და ენერგოძალოვანი პარამეტრების) ჩატარებულია ფოლად 45-დან დამზადებულ მრგვალ პროფილებზე: 12, 14, 16, 18, 20, 22, 25, 28, 30. ასევე კვადრატულ ფოლადზე Ø 18-ზე და 35/2 ფოლადისაგან დამზადებული საარმატურე პროფილების წარმოების მხედველობაში მიღებით.

ყველა ჩამოთვლილი პროფილის საწარმოებლად გამოიყენება კვადრატული განივი კვთის მქონე პროფილი 100-100 სიგრძით 2,6-დან 2,8-მდე, ხოლო ნაშადის გაბურების ტემპერატურა 1180-1200°C.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

(შემოვიდა 16.06.1993)



Г. Кашакашвили, В. Чеишвили, В. Баакашвили, Г. Кобалава, Г. Капанадзе

## Реконструкция прокатного стана Руставского металлургического комбината

### Резюме

В настоящем излагается реконструкция прокатного стана, которая выполняется двумя этапами. На первом этапе предусмотрено с использованием шести начальных клетей установление дополнительных рабочих клетей в виде непрерывной группы. Полная реконструкция мелкосортного стана предусматривает полную замену данного стана новым, современным, непрерывным станом „270“ в виде трех групп: черновой, подготовительной и чистовой.

METALLURGY

G. Kashakashvili, V. Cheishvili, V. Baakashvili, G. Kobalava, G. Kapanadze

## Reconstruction of the Mill "320" at the Small-Range Shop of the Rustavi Integrated Metallurgical Plant

### Summary

The reconstruction of the rolling mill "320" at the small-range shop of the Rustavi integrated metallurgical plant is supposed to be carried out in two stages. The first stage plans the usage of the first six stands of the existing or operating mill "320", and the mounting of working stands 7-11 on its continuation. The second stage of reconstruction supposes the entire replacement of the stand "320" with the new, modern rolling mill "270", having three continuous groups.

გ. კონიაშვილი, ო. კერვალიშვილი


სამრეწველო საწარმოთა ელექტრომომარაგების სისტემის  
 პარამეტრების განსაზღვრა დატვირთვის პერსპექტიული  
 დინამიკის გათვალისწინებით

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ვ.გომელაურმა 2.06.1993)

ენერგეტიკაში ტექნიკურ-ეკონომიურ განვარიშებათა მოქმედი ტიპური მეთოდოლოგია [1] არ ითვალისწინებს დატვირთვის პერსპექტიულ დინამიკას სამრეწველო საწარმოთა სისტემის პარამეტრების შერჩევასთან დაკავშირებულ გამოთვლებში. შედეგად ირღვევა საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალობა, რასაც მოსდევს ელექტრული ენერჯის წლიური ჭარბი დანაკარგები. ამ საკითხზე ყურადღება გამახვილებულია [2] და [3] ლიტერატურულ წყაროებში.

[3] -ის მიხედვით დატვირთვის დინამიკასთან დაკავშირებული სიმძლავრის შესწორება რეკომენდებულია  $\mu S$  სიდიდის სახით, სადაც  $S$  არის საპროექტო სიმძლავრე, ხოლო  $\mu$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დატვირთვის მატების ტემპს ( $\delta$ ), დროის ფაქტორს ( $\eta$ ) და სიმძლავრის ნაზრდთა დაყვანას უსასრულო

პერსპექტიული პერიოდიდან ( $T \rightarrow \infty$ ) „ნულოვან“ წელიწადზე, ე.ი.  $\mu = \delta \sum_{T_i}^{\infty} \eta^i$



(სურ.1). წლიური დანაკარგების შესაბამისი ხარჯები მიღებულია წლიურ დაყვანილ ხარჯებად და დაშვებულია მათი გათანაბრება დაყვანილ წლიურ EK კაპიტალდაბანდებასთან, სადაც  $K$  არის კაპიტალდაბანდება, ხოლო  $E$  - მისი წლიური ეკონომიური ეფექტიანობის კოეფიციენტი. ასეთი მიდგომის ნაკლად მიგვაჩნია: დაყვანის პერიოდის უსასრულობისაკენ მისწრაფება ( $T \rightarrow \infty$ ); მატების ტემპის შეზღუდვა მხოლოდ ხაზოვანი კანონზომიერებით; დატვირთვის ნაზრდთა „ნულოვან“ წელიწადზე დაყვანილი სიდიდის წლიურ დაყვანილ სიდიდედ დაშვება.

სურ.1 დატვირთვის დინამიკის გათვალისწინების მოდელი 3-ის მიხედვით

[2] გვთავაზობს დატვირთვის დინამიკა გავითვალისწინოთ  $I_s \sum_{T_0}^{T_s} \eta^t$  სიდიდის


სახით (სურ.2), რაც, რა თქმა უნდა, ნაკლებად ასახავს რეალურ სურათს, ვინაიდან დაშვებულია საპროექტო სიმძლავრის მუდმივობა პერსპექტივაში ( $I_s = const$ ).

თუ დატვირთვის დენის ძალით ავსახავთ, მისი პერსპექტიული დინამიკის წარმოდგენა შეიძლება შემდეგი დამოკიდებულებით

$$I_t = \lambda(t)I_s, \tag{1}$$

სადაც  $I_s$  არის საპროექტო სიმძლავრის შესაბამისი დენის ძალა, ა,

$\lambda(t)$  დინამიკურობის ამსახველი ფუნქცია.  $\lambda(t)$  სიდიდე დამოკიდებულია დატვირთვის დინამიკის კანონზომიერებაზე.



სურ.2 დატვირთვის დინამიკის გავითვალისწინების მოდელი [2]-ის მიხედვით.

საქართველოს ზოგიერთი დიდი საწარმოს დატვირთვის პერსპექტიული დინამიკისათვის დამახასიათებელი სტატისტიკური მასალის დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ დინამიკის კანონზომიერება საკმარისი სიზუსტით შეიძლება აისახოს  $\lambda(t)$  ფუნქციის შემდეგი სამი გამოსახულებით: სწორხაზოვანი -  $\lambda(t) = 1 + (t - T_s)\delta$ ; ჩაზნექილი მრუდი -  $\lambda(t) = \delta^{(t - T_s)}$ ; ამოზნექილი მრუდი -  $\lambda(t) = [1 + (t - T_s)]^\delta$ . ამ გამოსახულებებში  $T_s$  არის სიმძლავრის ათვისების პერიოდი,  $t$  - წლების რაოდენობა „ნულოვანიდან“ ნებისმიერ წლამდე,  $\delta$  - დატვირთვის მატების ტემპის

ამსახველი კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობები საქართველოს ზოგიერთი სამრეწველო საწარმოსათვის დადგენილია ჩვენ მიერ და წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

№	საწარმოს დასახელება	დატვირთვის მატების კანონზომიერება	$\delta$
1	საწარმოო გაერთიანება „ზოტი“	სწორხაზოვანი	0,170
2	საწარმოო გაერთიანება „ჭიათურის მარგანეცი“	„	0,260
3	რუსთავის ცემენტის ქარხანა	„	0,050
4	ტყიბულის „ქვანახშირი“	„	0,320
5	რუსთავის მეტალურგიული ქარხანა	ამოზნექილი მრუდი	0,170
6	კასპის ცემენტის ქარხანა	„	0,600
7	ქუთაისის საავტომობილო ქარხანა	ჩაზნექილი მრუდი	1,045
8	რუსთავის ქარხანა „ქიმბოქო“	„	1,036
	ზეესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	„	1,073

დატვირთვის დინამიკის გავლენის შედარებით უფრო ობიექტურად გათვალისწინება შეიძლება საინჟინრო გადაწყვეტის ეკონომიურობის დაყვანილი ჯამური ხარჯების მიხედვით შეფასებისას, რომლის შესაბამის საანგარიშო ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$Z = K \sum_1^I \gamma_i \eta^{i-1} + K_0 \sum_1^T \eta^i + eK \sum_1^T \eta^i + C_0 \left( \sum_1^T \beta_i \eta^i + \sum_{T_i+1}^T \lambda(t) \eta^i \right) \quad (2)$$

საპროექტო სიმძლავრის შესაბამის წლიურ დანაკარგებთან დაკავშირებული ხარჯები

$$C_0 = 3I_0^2 \rho \omega^{-1} m.$$

ამ ფორმულაში:  $K$  არის კაპიტალდაბანდება, გაღებული მშენებლობის პერიოდში, მან;  $K_0$  - კაპიტალდაბანდება, გაღებული ეტაპურად ექსპლუატაციის პერიოდში, მან;  $\gamma_i$  - კაპიტალდაბანდების ხვედრითი ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია მშენებლობის რომელიმე  $i$  წელიწადს არაერთდროული კაპიტალდაბანდებისას;  $\eta = 1/(1+E)$  - დაყვანის, ანუ დროის ფაქტორის კოეფიციენტი;  $K_i$  - ეტაპური კაპიტალდაბანდება ექსპლუატაციის პერიოდში, მან;  $e$  - ამორტიზაციული ანარიცხები;  $\rho$  - ხვედრითი წინაღობა, ომი მმ<sup>2</sup>/მ;  $\omega$  - სადენის ან კაბელის კვეთი, მმ<sup>2</sup>;  $m$  - ერთი კვტ-ის წლიური დანაკარგების ღირებულება, მან/კვტ;  $\beta_i$  - დატვირთვის ხვედრითი ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია სიმძლავრის ათვისების რომელიმე  $i$  წელიწადს;  $T$  - ექსპლუატაციის პერიოდი, რომლის შესაბამისად განისაზღვრება  $Z$  სიდიდე, მიღებულია ელექტრომომარაგების სისტემის სამსახურის ვადის ტოლი (20+30 წელიწადი);  $\alpha_i$  - ექსპლუატაციის პერიოდში ცალკეულ ეტაპებზე გაღებული კაპიტალდაბანდების ნაწილი.

ჯამური დაყვანილი ხარჯების მიხედვით ეკონომიურობის შეფასების სქემის მოდელი წარმოდგენილია მე-3 სურათზე დროის ფაქტორის გაუთვალისწინებლად.


ოპტიმალური გადაწყვეტის მისაღებად ვისარგებლოთ მათემატიკის ცნობილი ხერხით, კერძოდ  $\frac{dZ}{dx} = 0$ . აქ  $x$  არის არგუმენტი, რომლის ფუნქციებია  $K$  და  $C$ .

მაგალითად, დენგამტართა კვეთის შერჩევისას  $K(\omega) = b+a\omega$ , ხოლო  $C_0(\omega) = 3I_0^2 \rho \omega^{-1} m$  თუ შევიტანთ აღნიშნულ მნიშვნელობებს (2) გამოსახულებაში და გავაწარმოებთ, გვექნება

$$\frac{dZ}{d\omega} = a \left( \sum_1^I \gamma_i \eta^{i-1} + \sum_1^T \alpha_i \eta^i + e \sum_1^T \eta^i \right) - 3I_0^2 \rho \omega^{-1} m \left( \sum_1^T \beta_i^2 \eta^{i-1} + \sum_{T_i+1}^T \lambda^2 \eta^i \right) = 0,$$

საიდანაც დენგამტართა ოპტიმალური კვეთი მმ<sup>2</sup>


$$\omega = I_0 \sqrt{\frac{3 \rho m \left( \sum_1^T \beta_i^2 \eta^i + \sum_{T_i+1}^T \lambda^2(t) \eta^i \right)}{a \left( \sum_1^I \gamma_i \eta^{i-1} + \sum_1^T \alpha_i \eta^i + e \sum_1^T \eta^i \right)}}$$



სურ.3 ეკონომიურობის შეფასების სქემის მოდელი დაყვანილი ჯამური ხარჯების მიხედვით შემოვიტანოთ აღნიშვნა

$$j_3^0 = \sqrt[3]{\frac{a}{3 \rho m}} \tag{3}$$

რომელსაც დენის ეკონომიურ სიმკვრივეს უწოდებენ და შეიძლება მისი დადგენა  $\frac{a}{m}$  შეფარდების მიხედვით მე-4 სურათიდან,  $a$  არის ერთეული სიგრძის დენგამტარის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც დამოკიდებულია კვეთზე.



სურ.4  $j_3 = f(a/m)$  მრუდები ალუმინის და სპილენძის დენგამტარებისათვის.

გათვალისწინებული ( $\gamma_i = 1$ )

$$\xi = \sqrt{\frac{\sum_1^t \gamma_i \eta^{t-1} + \sum_1^T \alpha_i \eta^t + e \sum_1^T \eta^t}{\sum_1^{T_1} \beta_i \eta^t + \sum_1^T \lambda^2(t) \eta^t}} \tag{4}$$

წარმოადგენს კოეფიციენტს, რომელიც ითვალისწინებს დროის ფაქტორსა და დატვირთვის დინამიკას. ერთდროული ( $\gamma_i = 1$ ) და უეტაპო ( $\alpha_i = 0$ ) კაპიტალდაბანდებისას, როცა საპროექტო სიმძლავრეზე გასვლა მშენებლობის დამთავრებისთანავე არის

$$\xi = \sqrt{\frac{1 + e \sum_l^T \eta^l}{\sum_l^T \alpha^2(t) \eta^l}} \quad (5)$$

ეკონომიურად ოპტიმალური კვეთი, ცხადია, შეადგენს

$$\omega = \frac{T_0}{\xi J_0^0} \quad (6)$$

დენგამტარის კვეთზე დატვირთვის დინამიკის ზეგავლენის შემოწმების მიზნით განვიხილეთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ელექტროფოლადსადნობი საამქროს რეალური პროექტის ელექტროტექნიკური ნაწილის მუშა დოკუმენტაცია, რომელიც დამუშავებულია „მძიმე მრეწველ ელექტროპროექტის“ თბილისის განყოფილების მიერ.

პროექტის მიხედვით, რომელიც არ ითვალისწინებს არც დროის ფაქტორს და არც დატვირთვის დინამიკას, გათვალისწინებულია ერთ ხაზში ორი კაბელის ჩაწყობა, თითოეულის შერჩეული კვეთი შეადგენს 150 მმ<sup>2</sup>. დროის ფაქტორისა და დატვირთვის დინამიკის გათვალისწინებით აღნიშნულმა კვეთმა შეადგინა 185 მმ<sup>2</sup>, ხოლო ამის შედეგად ელექტრული ენერჯიის წლიური დანაკარგები მცირდება 20%-ით. შედეგი, რა თქმა უნდა, საგულისხმოა.

იმავე მსგელობის საფუძველზე არის მიღებული ტრანსფორმატორული ქვესადგურების ეკონომიური სიმძლავრის საანგარიშო ფორმულა

$$S_{x(t)} = \frac{\sqrt[3]{\sigma}}{DEF\beta \sqrt{\alpha}} \quad (7)$$

სადაც  $\sigma$ -არის დატვირთვის სიმკვრივე, კვა/კმ<sup>2</sup>;  $\alpha$  - მკვებავი ქსელის კონფიგურაციის კოეფიციენტი.

(7) ფორმულაში შემავალი დანარჩენი სიდიდეები ერთდროული, ერთეტაპიანი კაპიტალდაზანდებისას და საპროექტო სიმძლავრეზე ექსპლუატაციის პერიოდის დასაწყისშივე გასვლის პირობებში განისაზღვრება შემდეგი ფორმულების დახმარებით:

$$D = \sqrt{\frac{a_{\text{ექ}}(1 + e_{\text{ექ}} \sum_l^T \eta^l) \sum_l^T \lambda^2(t) \eta^l}{a_{\text{ბს}}(1 + e_{\text{ბს}} \sum_l^T \eta^l) + b_{\text{ბს}}(1 + e_{\text{ბს}} \sum_l^T \eta^l)^2}}$$

$$E = \sqrt[3]{\left(\frac{\lambda_3}{2} + 1\right)^2}$$

$$F = \sqrt[3]{\frac{0,25 \rho}{u_6^2}}$$

$$\beta = \sqrt{\frac{m}{(1 + tm)^2}}$$



$$t = \frac{\Delta P_0 \sum_1^T \eta^t}{a_{33} (1 + e_{33} \sum_1^T \eta^t) + b_{33} L_{33} (1 + e_{33} \sum_1^T \eta^t)}$$

ამ ფორმულაში: აღნიშვნები - ქვ - ქვესადგურია, მქ - მაღალძაბვიანი ქსელი, დქ - დაბალძაბვიანი ქსელი,  $u_6$  - ძაბვა საამქროს ქსელში, კვ;  $b$  - დენგამტარის ღირებულების კვეთზე დამოუკიდებელი ნაწილი, მან/კმ;  $\Delta P_0$  - ტრანსფორმატორებში აქტიური სიმძლავრის დანაკარგების ნაწილი, რომელიც არ არის დამოკიდებული მის სიმძლავრეზე, კვტ/ტრ;  $\lambda_j = \frac{b_{ej}}{a_{ej} \omega}$ , აქ  $\omega$  - დენგამტარის

ეკონომიური კვეთი, მმ<sup>2</sup>;  $L$  - ქსელის სიგრძე, კმ.

ანალოგიურად არის გამოყვანილი დაბალი ძაბვის მხარეს განლაგებული კონდენსატორების ეკონომიური რეაქტიული სიმძლავრის საანგარიშო ფორმულა

$$Q_{d(a)} = Q_6 - \frac{b_0 P_6}{\sqrt{(h+g)^2 - b_0^2}} \quad (8)$$

სადაც  $Q_6$  - ობიექტის საპროექტო რეაქტიული სიმძლავრე, კვარ;  $P_6$  - ობიექტის საპროექტო აქტიური სიმძლავრე, კვტ.

აღნიშვნები:

$$h = b_{33} (1 + e_{33} \sum_1^T \eta^t) + \Delta P m_1 \sum_1^T \lambda(t) \eta^t + \frac{2 \cdot 1 L_{33}}{u_3} \sqrt{a_{33} \rho m_1 (1 + e_{33} \sum_1^T \eta^t) \sum_1^T \lambda(t) \eta^t}$$

$$b_0 = \Delta P m_2 \sum_1^T \lambda(t) \eta^t + \Delta K e_j \sum_1^T \eta^t$$

$$g = 0,7 A_0 \sqrt[3]{\sigma_0}$$

ამ აღნიშვნებში: "მ" - მაღალი ძაბვა; "დ" - დაბალი ძაბვა; "კ" - კონდენსატორი; ქვ - ქვესადგური; "ქ" - ქსელი; "ა" - აქტიური სიმძლავრე;  $m$  - დანაკარგების ერთი კვტ-ის ღირებულება წელიწადში, ქსელში ( $m_1$ ) და კონდენსატორებში ( $m_2$ ), მან/კვტ წელიწადი;  $\Delta P$  - სიმძლავრის დანაკარგების სხვაობა დაბალი და მაღალი ძაბვის მხარეებს შორის, მან/კვარ;  $U_3$  - ძაბვა მაღალი ძაბვის ქსელში, კვ;  $\sigma_0$  - აქტიური დატვირთვის სიმკვრივე, კვტ/კმ<sup>2</sup>;

$$A_0 = 3 N D E F \beta \sqrt[3]{\alpha^2}$$

$$N = a_{33} (1 + e_{33} \sum_1^T \eta^t) + m \Delta P_0 \sum_1^T \eta^t + b_{33} L_{33} (1 + e_{33} \sum_1^T \eta^t)$$

დასკვნა: დატვირთვის დინამიკის გათვალისწინების შედეგად მაღლდება საპროექტო საწარმოთა ელემენტომომარაგების პარამეტრების შერჩევის ოპტიმალურობა და მცირდება ელემენტოვანი ენერჯის ყოველწლიური დანაკარგები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

(შემოსულია 2.06.1993)

Д.А.Кониашвили, О.Г.Кервалишвили

## Определение параметров системы электроснабжения промышленных предприятий с учетом перспективной динамики нагрузки

### Резюме

С целью учета влияния динамики роста нагрузки и фактора времени на выбор параметров систем электроснабжения промышленных предприятий предложены поправочные коэффициенты и методы их определения.

Излагается новый подход выбора параметров системы электроснабжения промышленных предприятий с учетом динамики роста нагрузки и фактора времени.

ENERGETICS

G. Koniashvili, O. Kervalishvili

## Determination of Parameters in Supplying Industrial Enterprises with Electric Power, with the Perspective of Loading Dynamics

### Summary

Correction factors and methods of determination are suggested for the purpose of taking into account the influence of loading dynamics and time factor for selecting parameters in supplying industrial enterprises with electric power.

The new method of approach is given for selecting parameters in supplying industrial enterprises with electric power, taking into account the increase of loading dynamics and time factor.

### ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Методика технико-экономических расчетов в энергетике. М., 1966.
2. *Н.А.Будзко, М.С.Левин, Т.Б.Лещинская*. Электричество, 5, 1976.
3. *А.М.Зельцбург*. Экономика электроснабжения промышленных предприятий. М., 1973.



გ. ჩიშკაძე, ვ. ჯამარჯაშვილი

### საქართველოს გეოთერმული ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივის განსაზღვრისათვის


(წარმოადგინა აკადემიკოსმა ვ.ჯამარჯაშვილმა 20.12.1992)

ენერგომომხარების სწრაფი ტემპით განვითარება, ორგანული სათბობის რესურსების ამოწურვის რეალობა და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მავნე ზემოქმედება გარემოზე აუცილებელს ხდის არატრადიციული ენერგორწყაროების ათვისების აქტუალობას თანამედროვე მსოფლიოში და ხშირად, სწორედ ეს გარემოება ხდება ხოლმე ზოგიერთი უმართებულო თუ საეკოლოგიური ხასიათის განცხადების მიზეზი. კერძოდ, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით ფართოდ მკვიდრდება აზრი, თითქოსდა საქართველოში გეოთერმული ელექტროენერგეტიკის განვითარებას დიდი მომავალი ჰქონდეს. სამწუხაროდ, რეალური სურათი სულ სხვაგვარია.

ნებისმიერი სახის თბური ენერგიის, მათ შორის გეოთერმულისაც, რაოდენობრივ გარდაქმნას მექანიკურ (ელექტრულ) ენერგიად განსაზღვრავს თბური ენერგიის ექსერგიის სიდიდე, რადგანაც ექსერგია არის მოცემული თბური ენერგიის სიდიდის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება გარდაქმნილ იქნეს მექანიკურ (ელექტრულ) ენერგიად [1]. ამრიგად, ექსერგიის ცნების გამოყენების საფუძველზე მიღებული შედეგები წარმოადგენს იმ თეორიულად მაქსიმალურ მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს თბური ენერგიის გარდაქმნის შედეგად და ამ მუშაობის სიდიდე არაა დამოკიდებული როგორც გეოთერმული ელექტროსადგურის სქემის (ერთ თუ ორკონტურიანის). ასევე მუშა სხეულის თვისებებზე.

როგორც ცნობილია, სითბოს ექსერგია  $de_q$  ტოლია კარნოს კოეფიციენტის ნამრავლისა სითბოს რაოდენობაზე [2]:

$$de_q = r_i \cdot d_q \tag{1}$$



დღეისათვის საქართველოში გეოთერმული ორთქლის წყარო არ არის მიკვლეული. ამ ფაქტის გათვალისწინებით გეოთერმული სითბოს ექსერგიის გრაფიკული ინტერპრეტაცია  $T, S$  კოორდინატებში მოცემულია 1 სურათზე.

სურათზე წირი 1-2 განსაზღვრავს გეოთერმული წყლის შეთბობის პროცესს მიწისქვეშა ბუნებრივ საციარულაციო კონტურში; ფართი, რომელიც შემოზღუდულია 1-2-5-6 წერტილებით, განსაზღვრავს


სურ. 1. გეოთერმული სითბოს ექსერგიის ინტერპრეტაცია  $T, S$  კოორდინატებში.

გეოთერმული სითბოს რაოდენობას, ხოლო ფართი 1-2-3-4 კი ექსერჯის სიდიდეს. მონაკვეთი 4-1 შეესაბამება გეოთერმული წყლის რენიჟექციის პროცესს. 1 სურ.-დან ჩანს, რომ სითბოს ექსერჯის სიდიდეს გეოთერმული წყლის მოცემული პარამეტრებისათვის განსაზღვრავს გარემოს ტემპერატურა  $T_a$  გარემოდ კი მიჩნეულია ატმოსფერო, ან ზღვისა თუ მდინარის წყალი იმისდა მიხედვით, რომელი გამოიყენება სითბოს „ცივი“ წყაროდ კონკრეტულ თბოენერგეტიკულ დანადგარში.

გეოთერმული წყლის  $G$  ხარჯისათვის ექსერჯის სიდიდე, (1) გამოსახულების გამოყენებით, საფუძველზე, რადგანაც  $T_K \approx T_0$  ჩაიწერება შემდეგნაირად

$$E_g = Ge_g = G \cdot C_p \cdot T_0 \left[ \left( \frac{T_R}{T_0} - 1 \right) - \ln \frac{T_R}{T_0} \right] \quad (2)$$

სადაც  $C_p$  - გეოთერმული წყლის იზობარული ხვედრითი სითბოტევადობაა. ექსერჯის მაქსიმალური სიდიდე მიიღება იმ შემთხვევაში, თუ გარემოს ტემპერატურა ტოლი იქნება  $0^\circ C$ . რეალურ პირობებში, გეოთერმულ ენერგეტიკულ დანადგარებში გარემოს ტემპერატურად მიღებულ უნდა იქნეს მუშა სხეულის კონდენსაციის ტემპერატურა.



სურ. 2. ორკონტურიანი გეოთერმული ელექტროსადგურის პრინციპული სქემა. 1 - გეოთერმული წყარო; 2 - რენიჟექციის ჰაბურლი; 3 - ორთქლგენერატორი; 4 - ორთქლის ტურბინა; 5 - კონდენსატორი; 6 - გააცივებელი წყლის (შავი ზღვის 30 მ სიღრმიდან) მაგისტრალი.

საქართველოს გეოთერმული წყაროები მდებარეობს სხვადასხვა კლიმატურ ზონაში, თანაც მათი უმრავლესობის სიახლოვეს არ გავაჩნია სითბოს „ცივი“ წყარო, ამიტომ კონდენსაციის ტემპერატურად მიღებულ უნდა იქნეს  $30^\circ C$ , რომლის რეალიზებაც შესაძლებელია ჰაერით გააცივებადი კონდენსატორის მეშვეობით, გამონაკლის წარმოადგენს საქართველოს ზღვისპირეთი. შავი ზღვის სახით საქართველოს გააჩნია დაბალტემპერატურიანი უნიკალურია. აქ 30 მეტრ

სითბოს კოლოსალური წყარო. ამ მხრივ შავი ზღვა იღრმეზე წყლის ტემპერატურა ტოლია  $6-8^\circ C$  და იგი პრაქტიკულად არ იცვლება თელი წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც ამავე განედის სხვა ზღვებსა თუ აკვანებში ტემპერატურის ასეთი მნიშვნელობები წყალს გააჩნია მხოლოდ 1-1,5 მეტრ სიღრმეზე. ოცდაათი მეტრის სიღრმიდან კონდენსატორისათვის ცივი წყლის მიწოდება ტექნიკურად და ტექნოლოგიურად დღეისათვის გადაწყვეტილი არ არის და გამოიყენება ზღვისპირა თბოელექტროსადგურებში. სითბოს „ცივი“ წყაროს ტემპერატურის შემცირება  $30$ -დან  $6-8^\circ C$ -მდე, საშუალებას იძლევა დაზარდოს გეოთერმული ელსადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი და შესაბამისად მისი სიმძლავრეც. 2 სურ.-ზე მოცემულია გეოთერმული სადგურის



პრინციპული სქემა, როდესაც გამაციებელ თბომტარად შავი ზღვის წყალი გამოყენებული.

ცხრილი

კაბურღილის დასახელება		$E_q$ , კვტ	$E_q$ , კვტ	$E_q$ , კვტ	$E_q$ , კვტ
		$T_{\sigma}=273,15K$	$T_{\sigma}=303,15K$	$T_{\sigma}=279,15K$	$T_R=523,15K$ $T_{\sigma}=279,15K$
1		2	3	4	5
1. დრანდა	1-T	804	305	723	1933
2. ოხურეი	3	2009	921	1826	3609
3. ოხურეი	3-T	464	156	415	1289
4. კინდლა	2 ГГУ	1561	676	1414	3094
5. --"	1-T	1402	550	1263	3222
6. --"	2-T	1833	845	1767	3867
7. --"	3-T	353	113	315	1031
8. --"	6-T	658	254	592	1547
9. --"	7-T	2979	1395	2712	5156
10. --"	8-T	1933	867	1755	3609
11. --"	10-T	82	12	71	387
12. --"	11-T	2830	1325	2577	4398
13. --"	12-T	2830	1325	2577	4398
14. --"	15-T	2224	1016	1995	3867
15. საბერიო	5	18	75	15	1547
16. რეჩხი	1	374	99	332	1288
17. ზუგდიდი- ცაიში	3	809	278		-
18. --"	1 ОП	1379	268		-
19. --"	1-T	1428	490		-
20. --"	2-T	1571	585		-
21. --"	5-T	679	223		-
22. --"	8-T	1323	423		-
23. --"	9-T	1571	585		-
24. --"	10-T	2707	1201		-
25. --"	12-T	1571	585		-
26. --"	13-T	1720	566		-
27. --"	14-T	1810	594		-
28. --"	17-T	2095	860		-
29. --"	21-T	1099	394		-
30. მენჯი	2	456	144		-
31. ქვალონი	2	856	356	773	1805
32. --"	1-T	1902	541		-
33. ბია	2	1016	190		-
34. ყულევი	7	100	24	85	1031

35. სამტრედია	1	323	102	-
36. --"	5	95	30	-
37. --"	6	116	35	-
38. --"	7	432	130	-
39. ლისი	5-T	428	28	-
40. --"	6-T	98	18	-
41. --"	7-T	83	2	-
42. --"	8-T	25	3	-
43. საბურთალო	1	105	14	-
44. --"	4-T	225	8	-
45. ახალსოფელი	3-T	129	40	-
46. აგარა	5-T	106	26	-
$\Sigma E_g$		48611	18677	21207
				48078

ცხრილში მოცემულია საქართველოს გეოთერმული წყაროების ექსპერტიზის ჩამურსიდიდეთა მნიშვნელობები განსაზღვრული (2) გამოსახულების მეშვეობით  $T_0$ -ის სამი მნიშვნელობისათვის:  $T_0 = 273,15K$ ;  $T_0 = 303,15K$ ;  $T_0 = 279,15K$ . ამასთან,  $T_0$ -ის პირველი ორი მნიშვნელობისათვის  $\Sigma E_g$  განსაზღვრულია მთელი რესპუბლიკისათვის, ხოლო  $T_0 = 279,15K$  შემთხვევისათვის, მხოლოდ ზღვისპირა გეოთერმული წყაროებისათვის.

ცხრილიდან ჩანს, რომ  $E_g$ -ს მაქსიმალური ჯამური სიდიდე მიიღწევა  $T_0 = 273,15K$  დროს და იგი შეადგენს მხოლოდ ~50 მგვტ-ს, ხოლო რეალური  $T_0 = 303,15K$  შემთხვევისათვის ~19 მგვტ-ს; და ეს ყოველივე, გეოთერმული სადგურების ეკონომიურობის გათვალისწინების გარეშე.

ამრიგად, გამოკვლევამ, რომელიც ჩატარებულ იქნა თერმოდინამიკის ფუნდამენტური კანონების საფუძველზე, გვიჩვენა რომ საქართველოს გეოთერმული რესურსების გამოყენებით ელექტროენერჯის წარმოებას არ შეუძლია თუნდაც რამდენადმე მნიშვნელოვანი წილი შეიტანოს რესპუბლიკის ელექტროენერჯის წარმოების საერთო მოცულობაში. მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ რეგიონალური მნიშვნელობა, კერძოდ, კინდლისა და მიმდებარე გეოთერმული წყაროებისა და შავი ზღვის წყლის სითბოს „ცივ“ წყაროდ გამოყენების შემთხვევაში, როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, შესაძლებელია დაახლოებით 20 მგვტ სიმძლავრის ელექტროსადგურის რეალიზაცია, ამასთან, პერსპექტივაში შესაძლებელია მისი სიმძლავრის შემდგომი გაზრდა გეოთერმული და მზის ენერჯის კომბინირებული გამოყენების შემთხვევაში, პარაბოლოცილინდრული კონცენტრატორების გამოყენების შემთხვევაში. პარაბოლოცილინდრული კონცენტრატორების გამოყენება იძლევა მუშა სხეულის  $250^{\circ}C$ -მდე გაცხელების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს სიმძლავრის გაზრდას 20-დან 50 მგვტ-მდე, მაგრამ ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გეოთერმული ენერჯის გამოყენების ძირითად სფეროდ უნდა მივიჩნიოთ მისი გამოყენება თბომომარაგების, ხოლო რიგ შემთხვევაში სიცივის წყაროების მიზნით.

რაც შეეხება გეოთერმის ეკოლოგიურ პრობლემებს, ისინი ადვილად წყდება, თუ გამოყენებულ იქნება გეოთერმული წყლის რეინჟექცია.

ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა  
საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტი

(შემოვიდა 19.2.1993)

ТЕПЛОТЕХНИКА

Г.В.Чимакадзе, В.А.Джамарджашвили

## К определению перспективы развития геотермальной энергетики в Грузии

### Резюме

На основе эксергетического анализа определены теоретически предельные значения выработки электроэнергии при использовании геотермальных вод Грузии.

ENGINEERING

G. Chimakadze, V. Jamarjashvili

## Determination of Perspective Development of the Geothermal Energetics in Georgia

### Summary

On the basis of energetical analysis great importance of producing electric power by applying geothermal waters of Georgia is theoretically grounded.

### ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Энергия и эксергия. М., 1968, 189.
2. В.М.Бродянский. Эксергетический метод термодинамического анализа. М., 1973, 296.


ამბროსი შერი მართვა და  
 ბამბოშელიანი ტაშენიკა

მ. ანობაძე, დ. ზანგურაშვილი, ნ. თევზაძე

ანკეტური გამოკითხვის ანალიზი არამკაფიო სიმრავლეთა  
 თეორიის საფუძველზე

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ.სალუქვაძემ 24.02.1993)

ზვირად რაიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისას, გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებს შესაბამის სფეროში ანკეტური გამოკითხვები, რომლებიც ასახავენ მოსახლეობის დამოკიდებულებას მოცემული პრობლემისადმი. ტრადიციულად ანკეტური გამოკითხვის ანალიზი სრულდება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით. მათი გამოყენება კი გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან ანკეტების მანქანურმა დამუშავებამ სტატისტიკური მასალის წინასწარი ანალიზის გარეშე შეიძლება მიგვიყვანოს მცდარ შედეგებამდე. ეს წინასწარი ანალიზი კი შეიძლება საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდეს, როგორც მაგალითად, იმ ანკეტური გამოკითხვის დამუშავებისას, რომლის მიზანს წარმოადგენდა თბილისის საცხოვრებელი კომფორტის საკითხების შესწავლა [1]. მოცემულ ნაშრომში შემოთავაზებულია ანკეტური გამოკითხვის ანალიზის საკითხისადმი ახალი მიდგომა, რომელიც ეყრდნობა არამკაფიო სიმრავლეთა თეორიას.



სურ.1

ამოცანის ფორმალიზაცია მდგომარეობს შემდეგში: ვთქვათ, ანკეტის კითხვებია  $x_1, x_2, \dots, x_n, x_{n+1}$  და მათი შესაძლო პასუხების სიმრავლეებია  $U_1, U_2, \dots, U_n, U_{n+1}$  შესაბამისად. ყოველი  $x_i$  განვიხილოთ როგორც რესპონდენტის პარამეტრი, რომლის მნიშვნელობათა სიმრავლეს წარმოადგენს  $U_i$  (ჩერ ვიგულისხმობთ, რომ რესპონდენტს ერთ კითხვაზე მხოლოდ ერთი შესაძლო პასუხის მითითების უფლება აქვს). ისმის კითხვა: როგორ არის  $x_{n+1}$  პარამეტრი დამოკიდებული  $x_1, x_2, \dots, x_n$  პარამეტრებზე? შეკადრად რომ ვთქვათ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნიშნავს ისეთი  $F: U_1 \times U_2 \times \dots \times U_n \rightarrow U_{n+1}$  ფუნქციის მოძებნას, რომ სიმრავლეთა დიაგრამა (სურ. 1) იყოს კომუტაციური, სადაც  $R$  არის რესპონდენტთა სიმრავლე,

$$fR = (f_1r, f_2r, \dots, f_n r)$$

და  $f_r$  არის  $x_i$  კითხვაზე  $r$  რესპონდენტის მიერ მითითებული პასუხი. მაგრამ ზვირ შემთხვევაში მკვლევარს არ სჭირდება დიდი სიზუსტე. საკმე იმაშია, რომ რესპონდენტის არაობიექტურობით გამოწვეული კვლევის შედეგების დამაბინძურების თავიდან აცილების მიზნით მკვლევარი იძულებულია ანკეტის შედეგის გარკვეული კითხვის ისეთი შესაძლო პასუხები აირჩიოს, რომ რესპონდენტმა ამ





კითხვაზე პასუხის გაცემის დროს მიუთითოს თავისი „პასპორტული“ მონაცემები. ამის გამო, აღნიშნული  $F$  ფუნქცია, როგორც წესი, არ არსებობს (თუნდაც, თუ დავეყვარებოდებით იმით, რომ (1) იყოს „თითქმის კომპუტაციური“) და რომც იარსებოს, იქნება ზედმეტად დეტალიზებული ინფორმაციის მატარებელი. ამიტომაც, მკვლევარისათვის ინტერესს წარმოადგენს არა თვით  $F$  ფუნქციის პოვნა, არამედ მისი „შიაზლოებულისა“ როცა  $x_1, x_2, \dots, x_n, x_{n+1}$  პარამეტრების მნიშვნელობები  $U_1, U_2, \dots, U_n, U_{n+1}$  სიმრავლეების მაგივრად გაირბენენ  $Q_1, Q_2, \dots, Q_n, Q_{n+1}$  შესაბამისად  $U_1, U_2, \dots, U_n, U_{n+1}$  -ის ელემენტების დამახასიათებელ სიტყვათა სიმრავლეებს (რომლებსაც მკვლევარი ადგენს თავისი ინტერესების მიხედვით. მაგალითად, კითხვა  $x_i =$  „ასაკის“ შემთხვევაში  $Q_i$  შეიძლება იყოს {ახალგაზრდა, საშუალო ასაკის, ხანდაზმული}). ის ფაქტი, რომ  $Q_i$  არის  $U_i$  სიმრავლის ელემენტების დამახასიათებელ სიტყვათა სიმრავლე, ნიშნავს იმას, რომ ფიქსირებულია რაღაც მიმართება  $S_i \subset U_i \times Q_i$ . მაგალითად, თუ  $x_i =$  „ასაკი“,  $U_i = \{18, 19, \dots, 75\}$ ,  $Q_i =$  {ახალგაზრდა, საშუალო ასაკის, ხანდაზმული}, მაშინ  $S_i$  შეიძლება იყოს ასეთი მიმართება:  $\{(n, \text{ახალგაზრდა}) \mid 18 \leq n \leq 40\} \cup \{(n, \text{საშუალო ასაკი}) \mid 37 \leq n \leq 60\} \cup \{(n, \text{ხანდაზმული}) \mid 55 \leq n \leq 75\}$ . ბუნებრივია, რომ აგებული მიმართება ატარებს სუბიექტურ ხასიათს. მკვლევარს კი უფრო აინტერესებს ისეთი  $S$ -ის განზილვა, რომელიც შესაბამეობა ექსპერტთა ჯგუფის წარმოდგენას: ექსპერტთა ჯგუფს სთხოვენ დაასახელოს  $U$ -ს რომელი ელემენტი მიაჩნია მას „ $q$ “-დ ყოველი  $q \in Q$ -სათვის. რიცხვი  $\mu_q(u) = a/b$ , სადა  $a$  არის იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებმაც  $u$  ელემენტი მიიჩნიეს „ $q$ “-დ, ხოლო  $b$  ყველა რესპონდენტთა რიცხვი, გვიჩვენებს  $u$  ელემენტის „ $q$ “-ობის ხარისხს და, მაშასადამე, ასახვა  $\mu_q: U \rightarrow [0; 1]$  შეგიძლია მივიჩნიოთ  $q$  ტერმინის შესაბამის არამკაფიო სიმრავლედ. ბუნებრივია, რომ  $S$  განესაზღვროთ შემდეგნაირად:

$$(u, q) \in S \text{ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა } \mu_q(u) \geq 0,5 \tag{2}$$

არამკაფიო სიმრავლეების თეორიას საფუძვლად უდევს ის მოსაზრება, რომ ადამიანის ცნობიერებაში ბევრი ობიექტის მიერ ამა თუ იმ თვისების დაკმაყოფილებასა და არადაკმაყოფილებას შორის მკაფიო გამოჩვენა არ არსებობს. ამ თვალსაზრისით ყოველი ენა შეიძლება განვიხილოთ როგორც შესაბამისობა მსჯელობის არის არამკაფიო ქვესიმრავლეებისა და ამ ენის ტერმინებს შორის [2;3]. ზოგიერთი ტერმინის შესაბამისი არამკაფიო სიმრავლეები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. ასე, მაგალითად, ბუნებრივია, რომ

$$\mu_{\text{ძალიან } q^*}(u) = \mu_q^2(u) \tag{3}$$

$$\mu_{\text{არც ისე } q^*}(u) = \sqrt{\mu_q(u)} \tag{4}$$

$$\mu_{q_1, q_2, \dots, q_n^*}(u) = \max(\mu_{q_1} u, \mu_{q_2} u, \dots, \mu_{q_n} u) \tag{5}$$

ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავამდიდროთ ტერმინების სიმრავლე  $\bar{Q}_{n+1} = \{ \text{ძალიან } q^*, \text{ არც ისე } q^* \mid q \in Q_{n+1} \} \cup Q_{n+1}$ .

$$Q'_{n+1} = \{ nq_1 \text{ ან } q_2, nq_1 \text{ ან } q_2 \text{ ან } q_3, \dots, nq_1 \text{ ან } q_2 \text{ ან } \dots \text{ ან } q_{d_{n+1}-1} \} \tag{6}$$

$$q_1, q_2, \dots, q_{d_{n+1}-1} \in Q_{n+1}, q_i \neq q_j \} \cup \bar{Q}_{n+1}$$

( $d_{n+1}$  არის  $\bar{Q}_{n+1}$ -ში ელემენტების რაოდენობა).

ახლა ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ მკაცრად ჩამოვყალიბოთ ამოცანა  $F$ -ს „შიაზლოებული“ ფუნქციის პოვნის შესახებ:



მოცემულია სასრული სიმრავლები  $R, U_i, Q_i (1 \leq i \leq n+1)$  და ასახვები:  $f_i: R \rightarrow U_i, \mu_i: U_i \rightarrow [0, 1]$  ყოველი  $q \in Q_i, 1 \leq i \leq n+1$ -თვის. უნდა ვიპოვოთ ისეთი ასახვა

$$F: Q_1 \times Q_2 \times \dots \times Q_n \rightarrow Q_{n+1}$$

რომ სრულდებოდეს პირობა:

(\*) თუ  $(q_1, q_2, \dots, q_n) \in Q_1 \times Q_2 \times \dots \times Q_n$  და  $r \in R$  ისეთი ელემენტებია, რომ ყოველი  $1 \leq i \leq n$ -თვის:

$$(f_i r, q_i) \in S_i, \tag{7}$$


მაშინ

$$(f_{n+1} r, F(q_1, q_2, \dots, q_n)) \in S_{n+1}. \tag{8}$$

სადაც  $S_i$  მიმართებები განისაზღვრება (2)-ით,  $Q_{n+1}$  - (6)-ით,  $Q_{n+1} \setminus Q_n$  -ის ტერმინების შესაბამისი არამკაფიო სიმრავლები განისაზღვრება (3) - (5)-ით.

შევნიშნავთ, რომ იმ კერძო შემთხვევაში, როცა  $S_i$  მიმართებები წარმოადგენენ რაიმე  $\beta_i$  ფუნქციების გრაფიკებს, მაშინ (\*) პირობა ეკვივალენტურია შემდეგი დიაგრამის კომუტაციურობისა:

სადაც  $(\beta_1 \times \beta_2 \times \dots \times \beta_n)(u_1, u_2, \dots, u_n) = (\beta_1 u_1, \beta_2 u_2, \dots, \beta_n u_n)$



სურ.2

დავუბრუნდეთ ისევ ზოგად ამოცანას  $F'$  -ის პოვნის შესახებ და აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გვაკმაყოფილებს ამ ამოცანის მიზალოებული ამონხნა: ისეთი, რომ ფიქსირებულ-ლი  $(q_1, q_2, \dots, q_n)$  -თვის იმ

რესპონდენტების რიცხვი, რომელთათვისაც სრულდება (7) და არ სრულდება (8), არის შედარებით მცირე. ამ მიზალოებით ამონახსნს იძლევა შემდეგი ალგორითმი. ყოველი  $(q_1, q_2, \dots, q_n) \in Q_1 \times Q_2 \times \dots \times Q_n$ -თვის:

1. ვთქვათ,  $q$  არის  $Q_{n+1}$  სიმრავლის ისეთი ელემენტი (ერთ-ერთი), რომლისთვისაც რიცხვი

$$c\{r \mid r \in R_{(q_1, q_2, \dots, q_n)} \text{ და } (f_k r, q) \in S_k\}$$

$$\alpha_q = \frac{c(R_{(q_1, q_2, \dots, q_n)})}{c(R_{(q_1, q_2, \dots, q_n)})}$$

არის უდიდესი, სადაც

$$R_{(q_1, q_2, \dots, q_n)} = \{r \mid (f_i r, q_i) \in S_i \text{ ყოველი } i\text{-თვის, } 1 \leq i \leq n\} = \{r \mid \mu_{q_i}(f_i r) \geq 0,5 \text{ ყოველი } i\text{-თვის}\},$$

ხოლო  $c(A)$  აღნიშნავს  $A$  სიმრავლის ელემენტების რაოდენობას.

2. თუ  $\alpha_q \geq 0,5$ , მაშინ

$$F'(q_1, q_2, \dots, q_n) = q \tag{9}$$

თუ  $0,5 > \alpha_q \geq 0,8$ , მაშინ

$$F'(q_1, q_2, \dots, q_n) = q$$

კომენტარი: „მცირე გამოხაკლისით“;

თუ  $0,8 > \alpha_q \geq 0,7$ , მაშინ

$$F'(q_1, q_2, \dots, q_n) = q$$

კომენტარი: „არც ისე მკირე გამოჩაქლისით“;

თუ  $0,7 > \alpha_q$ , მაშინ

კომენტარი: „ $x_{n+1}$  პარამეტრის მიხედვით წგუფი არაერთგვაროვანია“.

აღვნიშნოთ, რომ შესაძლებელია ანკეტაში მკვლევარს ზოგიერთი კითხვის შესაძლო პასუხების დახასიათება სურს, ზოგიერთისა კი არა. როგორც, მაგალითად, კითხვა „სქესის“ შემთხვევაში. ამ შემთხვევაში  $Q_i$ -ის როლში შეიძლება შესაძლო პასუხების სიმრავლის აღება, ხოლო  $\mu$  ფუნქციების როლში მახასიათებელი ფუნქციებისა.

დაბოლოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ანკეტა ისეთნაირად არის შედგენილი, რომ რესპონდენტს ერთ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხის მითითების უფლება აქვს. მაგრამ ეს არ არის არსებითი შეზღუდვა, რადგან თუ რაიმე  $x_i$  კითხვაზე რესპონდენტს აქვს არაუმეტეს  $s_i$  პასუხის მითითების უფლება, მაშინ  $U_i$  -ის როლში ავიღებთ შესაძლო პასუხების სიმრავლის ყველა არაუარყოფით, არაუმეტეს  $s_i$  ელემენტიან ქვესიმრავლეთა სიმრავლეს,  $Q_i$ -ს დავტოვებთ იგივეს და თუ  $\mu_q$  იყო განსაზღვრული შესაძლო პასუხების სიმრავლეზე, ახლა მას გავავრცელებთ  $U_i$  ზე შემდგენიარად:

$$\mu_q \{u_1, u_2, \dots, u_k\} = \frac{\sum_{j=1}^k \mu_q(u_j)}{k}$$

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
არქიტექტურის ინსტიტუტი

(შემოვიდა 22.02.1993)

АВТОМАТИЧЕСКОЕ УПРАВЛЕНИЕ  
И ВЫЧИСЛИТЕЛЬНАЯ ТЕХНИКА

М.Н.Ахобадзе, Д.Т.Зангурашвили, Н.Ш.Тевзадзе

## Анализ анкетного опроса на основе теории нечетких множеств

Резюме

В работе дан новый подход к вопросу обработки результатов анкетного опроса населения, опирающийся на теорию нечетких множеств.

AUTOMATIC CONTROL AND  
COMPUTER ENGINEERING

M. Akhobadze, D. Zangurashvili, N. Tevzadze

## Analysis of Public Opinion Polls Based on the Theory of Fuzzy Sets

Summary

The paper gives a new approach to the question of processing of questionnaires, based on the theory of fuzzy sets.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. ნ.თევზაძე. სტუ-ს შრომები N 4, 1992.
2. L.A.Zadeh. Fuzzy Sets. - Inform. Contr., 8, 1965, 338-353.
3. L.A.Zadeh. Quantitative Fuzzy Semantics. Inform. Sci., 3, 1971, 159-176.



ნ. გელიშვილი

## მოწყობილობა ფუნქციის ექსტრემუმების დადგენისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ.სალუქვაძემ 13.04.1993)

დამუშავებული ხელსაწყო განკუთვნილია ავტომატური კონტროლისა და მართვის სისტემებში გამოყენებისათვის და დანიშნული გამოსაკვლევი პროცესის ექსტრემუმების დადგენისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც პროცესის დამახასიათებელი პარამეტრების მნიშვნელობები მოცემულია დროის ინტერვალებში ათვლის დასაწყისსა და დამთავრებას შორის. ამასთანავე, ხელსაწყოს გააჩნია შესაძლებლობა დაადგინოს სხვაობა ორ რიცხვს შორის აბსოლუტური მნიშვნელობის და ნიშნის მითითებით.


ხელსაწყოს სტრუქტურული სქემა მოყვანილია სურათზე.

სტრუქტურული სქემის შემადგენლობაში შემავალი ელემენტებისათვის მიღებულია შემდეგი აღნიშვნები: გ - იმპულსების გენერატორი, ტ1-ტმ - ტრიგერები, მრ1-მრ4 - იმპულსების ორობითი მრიცხველები, და1-დამ - ელემენტები „და“, დაჯ1 და დაჯ2 - „და“ სქემების ჭკუფები, ან1-ანნ - ელემენტები „ან“, მფ1-მფ4 - იმპულსების მაფორმირებლები, ი - ინვეტორი, გაშ. - გაშვების შესავალი, გაჩ. - გაჩერების შესავალი, გ1-გან - გამოსასვლელები.

მოწყობილობის მუშაობა სტრუქტურული სქემის მიხედვით წარმოებს შემდეგნაირად:

მუშაობის დაწყების წინ მრიცხველები მრ1-მრ4 და ტრიგერები ტ1, ტ3, ტ4 და ტმ მოყვანილი უნდა იყოს ნულოვან მდგომარეობაში სათანადო იმპულსით (სქემაზე ნაჩვენები არ არის).

ხელსაწყოს გაშვების სიგნალით ტრიგერები ტ2, ტ5 და ტნ მოიყვანება ნულოვან მდგომარეობაში და დააბლოკირებენ იმპულსების გაცემას მოწყობილობის გ3 გამოსასვლელსა და მრიცხველების მრ1-მრ4 თვლის შესასვლელებზე. ამავე გაშვების სიგნალით ტრიგერები ტ1 და ტ4 მოიყვანება ერთიანის მდგომარეობაში, რის შემდეგ სიგნალი დაფორმებული ტ4-ის გამოსასვლელზე მიღებული იმპულსის წინა ფრონტისაგან მაფორმირებელ მფ2-ით მიეწოდება მრიცხველ მრ3-ის ნულზე დაყენების შესასვლელსა და იმედროულად აბსცისების მრიცხველის მრ4-ის თვლის შესავალზე, ხოლო იმპულსები გენერატორიდან გ ან სქემების გავლით მიეწოდებიან საკლების მრიცხველის მრ2-ის და ორდინატების მრიცხველის მრ3-ის თვლის შესასვლელს და შეავსებენ მათ. გაჩერების სიგნალით ტრიგერი ტ1 მოიყვანება ნულოვან მდგომარეობაში, ელემენტი და1 აღმოჩნდება აკრძალვის მდგომარეობაში და მრიცხველებში მრ2 და მრ3-ში ფიქსირდება მაკლების რიცხვითი მნიშვნელობა. იმავე გაჩერების იმპულსი გადაიყვანს ტ3-ს საპირისპირო მდგომარეობაში. ამავე ტრიგერის პირდაპირი გამოსასვლელიდან გამოსული სიგნალის ფრონტი არ ახდენს გავლენას ტ5 და ტნ ტრიგერების მდგომარეობაზე.



ნახ. 1

მაკლების მნიშვნელობა მრიცხველ მრ1-ში ჩაიწერება ანალოგიურად, ამასთან, ტრიგერი ტ4 იმყოფება ნულოვან მდგომარეობაში; ხოლო ელემენტი და4 გახსნილია. გაჩერების მეორე სიგნალის მოსვლისას ტ3 შეიცვლის მდგომარეობას. მისი პირდაპირი გამოსავლიდან სიგნალის უკანა ფრონტი დააყენებს ტ5, ტნ ტრიგერებს მდგომარეობაში - ერთი. სიგნალი, დაფორმებული ტ5 ტრიგერის გამოსავლიდან მიღებული იმპულსის წინა ფრონტიდან მაფორმირებელ მფ1-ის საშუალებით მიეწოდება ტრიგერ ტმ-ს ნულოვან მდგომარეობაში მოსაყვანად, ხოლო იმპულსები შევსების გენერატორიდან ელემენტების და-ის და და-ის გავლით მიეწოდება მრიცხველების მრ1-ის და მრ2-ის შესასვლელებზე. მრიცხველების გადავსების სიგნალები ტ5 და ტნ ტრიგერებს დააყენებენ ნულოვან მდგომარეობაში, დააბლოკირებენ რა ამით სიგნალების შემდგომ მიწოდებას მრიცხველების მრ1-ის და მრ2-ის შესასვლელებზე.

იგივე სიგნალები მიეწოდება ტ2 ტრიგერის თვლის შესავალზე, რომელიც ორჭერადი მდგომარეობის შეცვლისას დააფორმირებს დროით ინტერვალს, პროპორციულს ორი რიცხვის სხვაობისას, რომლის განმავლობაშიც ნებადართულია იმპულსების გასვლა შევსების გენერატორიდან ელემენტ და2-ის გავლით, მოწყობილობის გ3 გამოსასვლელზე.

იმაზე დამოკიდებულებით თუ რომელ გამოსავალზე გაჩნდება სიგნალი უფრო ადრე გ1-ზე თუ გ2-ზე, შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რომელი რიცხვია მეტი მიღებული ორი რიცხვიდან.

ფუნქციის ექსტრემალური მნიშვნელობების დადგენა ხდება ორი რიცხვის სხვაობის დადგენის პროცედურის პარალელურად.

იმ ციკლებში, რომლებშიც საკლების მრიცხველის მრ2-ის შემცველობა მეტია ვიდრე შემცველობა მაკლების მრიცხველისა მრ1-ის, გადავსების სიგნალები მრ2-დან წინ უსწრებენ მრ1 მრიცხველის გადავსების სიგნალს.

მრ2 - მრიცხველის გადავსების სიგნალები მიეწოდებიან ტმ ტრიგერის ერთიანში ჩაყენების შესასვლელს და მისი გამოსასვლელიდან დაშ სტემის ერთ-ერთ შესასვლელს, რომლის მეორე შესასვლელზე მრ1 მრიცხველიდან გადავსების სიგნალის მოსვლისას ამ დაშ სტემის გამოსასვლელიდან მიღებული სიგნალი განამტკიცებს ტ7 ტრიგერის მდგომარეობას.

იმ ციკლებში, რომლებშიც საკლების მრიცხველის მრ1-ის შემცველობა მეტია მრ2 მაკლების მრიცხველის შემცველობაზე, მრ1 მრიცხველის გადავსების სიგნალები წინ უსწრებენ მრ2 მრიცხველის გადავსების სიგნალებს. ამ შემთხვევაში მრ1 მრიცხველის გადავსების სიგნალები შეცვლიან ტ7 ტრიგერის მდგომარეობას და სიგნალი მისი გამოსასვლელიდან მაფორმირებელ მფ3-ის და „ან“ სტემის ანნ-ის გავლით, მიეწოდება „და“ სტემის ჭგუფების დაჯგ და დაჯგ2-ის ინფორმაციის გაცემის ნებადართვის შესასვლელზე. ამის შედეგად მოხდება მრ3 და მრ4- მრიცხველების მდგომარეობების ამოკითხვა, ხოლო სიგნალის არსებობა გამოსასვლელ გ4-ზე მიუთითებს, რომ მრიცხველებში ჩაწერილი ინფორმაცია შეესაბამება ფუნქციის მინიმალურ მნიშვნელობას. მრიცხველ მრ3-ში ჩაიწერება ორდინატის მნიშვნელობა მრიცხველ მრ4-ში აბსცისისა. ამრიგად, ამ მრიცხველებში ჩაწერილი ინფორმაცია ეთანადება ფუნქციის მნიშვნელობის იმ წერტილს, სადაც ადგილი აქვს ექსტრემუმს.

ტ7 ტრიგერის მდგომარეობა შენარჩუნებულ იქნება იმ მომენტამდე ვიდრე საკლების მრ2 მრიცხველში ჩაწერილი რიცხვი არ გახდება მაკლების მრ1 მრიცხველში ჩაწერილ რიცხვზე მეტი. მრ2 მრიცხველის გადავსების სიგნალი ტრიგერ ტმ-ს გადაიყვანს ერთიანის მდგომარეობაში და გადავსების სიგნალი დაშ სტემის გავლით გადაიყვანს ტ7-ს საპირისპირო მდგომარეობაში და სიგნალი ტ7 ტრიგერის გამოსავლიდან მაფორმირებელ მფ4 და ანნ-ის გავლით მიეწოდება „და“ სტემების ჭგუფების დაჯგ და დაჯგ2-ის ინფორმაციის გაცემის ნებადართვის შესასვლელზე. სიგნალის არსებობა გამოსასვლელზე გ5 მიუთითებს, რომ ინფორმაცია, ჩაწერილი მრ3 და მრ4 მრიცხველებში, ეთანადება ფუნქციის მაქსიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილს.

ამრიგად, დამუშავებული მოწყობილობა განაპირობებს შესაძლებლობას განვსაზღვროთ როგორც ორი მოცემული რიცხვის სხვაობა, ასევე ექსტრემუმები ფუნქციისა, რომელიც მოცემულია დროის ინტერვალებით ათვლის დასაწყისსა და ათვლის დამთავრებას შორის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
 მართვის სისტემების ინსტიტუტი

(შემოვიდა 22.04.1993)

АВТОМАТИЧЕСКОЕ УПРАВЛЕНИЕ И  
 ВЫЧИСЛИТЕЛЬНАЯ ТЕХНИКА

Н.К.Гдзелишვიли

Устройство для установления экстремумов функции

Резюме

Предложено и описано цифровое устройство как для определения максимальных и минимальных значений функции, так и для одновременного установления разности двух чисел, которые заданы временными интервалами текущих значений функции, между началом и концом отсчетов.

Приведена функциональная схема и ее описание.

N. Gdzelishvili

## Device for Function Extremums Determination

### S u m m a r y

A digital device, destined for simultaneous determination of minimum and maximum function values, as well as for difference between the beginning and the end of reading of current function values, is suggested and described.

A functional scheme and its description is given.



ო. ლაბაძე, მ. ცერცვაძე, გ. კუბლაშვილი

კუთხური გადაადგილების ნახევარცილინდრული  
 კოაქსიალური ურთიერთინდუქციური პირველადი  
 გარდამქმნელის გამოშვავალი მახასიათებლის მიღების მეთოდი


(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. სალუქვაძემ 1.04.1993)

კუთხური გადაადგილების ნახევარცილინდრული კოაქსიალური ურთიერთინდუქციური პირველადი გარდამქმნელის ფუნქციონირებას საფუძვლად უდევს კოაქსიალურ ნახევარცილინდრულ ზედაპირებს შორის ურთიერთინდუქციის კოეფიციენტის ცვლილება ამ ზედაპირებიდან ერთ-ერთის მობრუნების კუთხის მიხედვით. აღნიშნული პირველადი გარდამქმნელის პროექტირებისათვის აუცილებელია მისი გამოშვავალი მახასიათებლის ხასიათის დადგენა, რაც შესაძლებელი ხდება კუთხურად წანაცვლებულ კოაქსიალურ ნახევარცილინდრულ ზედაპირებს (სურ.1) შორის ურთიერთინდუქციის კოეფიციენტის  $M$ -ის გამოთვლით. კოეფიციენტის საანგარიშოდ, ისევე, როგორც ნახევარწრიული ბრტყელ-პარალელური ფირფიტების შემთხვევაში [1] შესაძლებელია ვისარგებლოთ ღერძულსიმეტრიულად წანაცვლებულ ნახევარწრეწირულ რკალებს შორის ურთიერთინდუქციის კოეფიციენტის გამოთვლით. კოეფიციენტის საანგარიშოდ ნახევარცილინდრული ზედაპირები უნდა წარმოვიდგინოთ ისეთი  $p$  და  $q$  რადიუსების ნახევარწრეწირების ერთობლიობად, რომელთა შორის მანძილი  $d=h_1-h_2$ .  $h_1$  იცვლება 0-იდან  $H_1$ -მდე,  $h_2$  იცვლება 0-იდან  $H_2$ -მდე.  $H_1$  და  $H_2$  ამ ცილინდრული ზედაპირების სიმაღლეებია.  $H_1=pb, H_2=qb$ , სადაც  $b$  ნახევარწრეწირული რკალის განიკვეთის დიამეტრია.

ცნობილია, რომ  $m$  და  $n$  უბნებისაგან შემდგარ კონტურებს შორის ურთიერთინდუქციის კოეფიციენტი [2]

$$M = \sum_{k=1}^n \sum_{i=n+1}^{n+m} M_{ki}, \quad (1)$$

სადაც  $M_{ki}$   $k$ -ურ და  $i$ -ურ უბნებს შორის ურთიერთინდუქციის კოეფიციენტია თუ  $M_{ki}$  არის  $i$  ნახევარწრეწირის სიბრტყიდან  $h_1$  მანძილით დაშორებულ  $R$  რადიუსის მქონე ნახევარწრეწირსა და ამავე სიბრტყიდან  $h_2$  მანძილით დაშორებულ  $r$  რადიუსის მქონე ნახევარწრეწირს



სურ.1 ნახევარცილინდრული კოაქსიალური ზედაპირები;

შორის ურთიერთინდუქციის კოეფიციენტი, მაშინ კოაქსიალურ ნახევარცილინდრულ ზედაპირებს შორის ურთიერთინდუქციის კოეფიციენტი (1)-ის თანახმად

$$M = \sum_{k=0}^{p-1} \sum_{i=0}^{q-1} M_{ki}$$

ენიდან  $M_{ki}$  გამოითვლება გამოსახულებით (3)


$$M_{ki} = \frac{\mu_0}{4\pi} \int_{\varphi_1=\alpha}^{(\pi+\alpha)} \int_{\varphi_2=0}^{\pi} \frac{rR \cos(\varphi_2 - \varphi_1) d\varphi_1 d\varphi_2}{\sqrt{(h_1 - h_2)^2 + r^2 + R^2 - 2rR \cos(\varphi_2 - \varphi_1)}}$$

სადაც  $\varphi_1 = \angle AOC$  და  $\varphi_2 = \angle BOC$  (იხ. სურ. 1), ამიტომ საძიებელი კოეფიციენტი

$$M = \frac{\mu_0}{4\pi} \sum_{k=1}^{p-1} \sum_{m=1}^{q-1} \int_{\varphi_1=\alpha}^{(\pi+\alpha)} \int_{\varphi_2=0}^{\pi} \frac{rR \cos(\varphi_2 - \varphi_1) d\varphi_1 d\varphi_2}{\sqrt{(kb - nb)^2 + r^2 + R^2 - 2rR \cos(\varphi_2 - \varphi_1)}}$$

Результаты измерения длины тела, содержания ДНК в сперматидях и клетках стенки семенных фолликулов у различных видов саранчовых представлены в таблице.

Размеры тела, число хромосом, содержание ДНК в сперматидях и индекс ploидности семенного фолликула

Вид саранчовых	Размеры тела	Число хромосом	содержание ДНК в сперматидях	индекс ploидности фолликула
<i>Tetrix depressa</i>	8,0±0,9	13	173±16	2,96±0,36
<i>T.nutans nutans</i>	9,1±1,4	13	164±17	3,14±0,47
<i>Myrmeleotettix</i>	12,1±2,8	17	216±31	3,62±0,44
<i>T.subulata</i>	12,3±3,3	13	183±21	2,87±0,42
<i>Omocestus h.h</i>	12,5±2,6	17	267±35	3,52±0,48
<i>Micropodisma k</i>	15,0±3,1	23	238±36	3,89±0,51
<i>Doclostaurus b.</i>	15,1±3,5	17	327±46	3,43±0,40
<i>Chorthippus b.b</i>	16,3±3,3	17	311±44	3,39±0,39
<i>Ch.apricarius m</i>	17,0±3,8	17	226±37	3,58±0,48
<i>Calliptamus t.</i>	17,8±3,9	23	253±47	3,96±0,62
<i>C.italicus i.</i>	20,0±5,3	23	279±48	4,01±0,65
<i>C.barbarus c</i>	21,2±4,7	23	237±38	3,85±0,47
<i>Doclostaurus m.</i>	24,3±5,0	17	293±53	3,63±0,36
<i>Anacridium a</i>	44,1±9,8	23	268±43	4,20±0,59
<i>Schistocerca g.</i>	49,0±7,1	23	305±52	4,28±0,63

Используемый в данной работе индекс ploидности семенного фолликула представляет собой средний показатель содержания ДНК на клетку, полученный в результате измерения массы ДНК во всех клетках стенки семенника в зоне созревания сперматид в 50 изолированных фолликулах от каждой отловленной особи для каждого вида саранчовых в отдельности. Из приведенных в таблице данных видно, что 13-хромосомные виды сем. *Tetrigidae* характеризуются мелкими размерами тела и довольно низким содержанием ядерной ДНК и индексом ploидности семенного фолликула. Среди 17- и 23-хромосомных видов подобная закономерность практически не прослеживается. Широкая вариабельность наблюдается как в отношении размеров тела, так и в отношении содержания ДНК в сперматидях. В то же время проявляется четкая зависимость между

числом хромосом и уровнем полиплоидизации клеток стенки семенных фолликулов. Так, у 13-хромосомных видов среднее содержание ядерной ДНК составляет  $173,3 \pm 47$  условных единиц, у 17-хромосомных видов –  $277,3 \pm 61$  ( $p > 0,99$ ), а у 23-хромосомных видов –  $263,4 \pm 53$  ( $p < 0,95$ ). Индекс плоидности составляет соответственно  $2,99 \pm 0,44$ ;  $3,53 \pm 0,57$  ( $p > 0,99$ ) и  $4,03 \pm 0,64$  ( $p > 0,99$ ). Регрессионный анализ показывает наличие положительной корреляции между числом хромосом и индексом плоидности фолликула.

Результаты настоящего исследования свидетельствуют об отсутствии корреляции между размерами тела, числом хромосом и содержанием ядерной ДНК в пределах 17- и 23-хромосомных групп саранчовых. 13-хромосомные виды сем. Tetrigidae резко отличаются по этим показателям и содержат относительно небольшое количество ядерной ДНК при небольших размерах. В то же время по уровню полиплоидизации клеток стенки семенных фолликулов выявляется четкая зависимость между числом хромосом и индексом плоидности семенника.

Академия наук Грузии  
 Институт зоологии

(Поступило 17.03.1993)

ციტოლოგია

გ. ბახტაძე

ურთიერთკავშირი კალიების სხეულის ზომების, ბირთვში  
 ღწმ-ს შემცველობისა და სათესლეების პლოიდობის ინდექსის  
 შორის

რეზიუმე

ციტოფოტომეტრიის მეთოდის გამოყენებით შესწავლილია კალიების სხვადასხვა სახეობებში ღწმ-ს შემცველობა სპერმატიდებში და სათესლე ფოლიკულების პოლიპლოიდიზაციის დონე და ამ პარამეტრების ურთიერთკავშირი სხეულის ზომებსა და ქრომოსომების რიცხვთან. გამოვლენილია დადებითი კორელაცია ქრომოსომების რიცხვსა და სათესლე ფოლიკულის პოლიპლოიდიზაციის ინდექსს შორის. დადგენილია, რომ 13-ქრომოსომიანი სახეობები ხასიათდებიან სხეულის მცირე ზომებით და ღწმ-ის დაბალი შემცველობით როგორც სპერმატიდებში, ასევე სათესლეების კედლის უჯრედებშიც.

CYTOLOGY

G. Bakhtadze

The Correlation Between the Size of Body, Nuclear DNA Content  
 and Testicle Ploidy Index at Grasshoppers

Summary

The DNA content in spermatids and the poliploidization level of testicle follicle and the correlation between these parameters and the size of body and chromosome

number at the various species of grasshoppers have been investigated with the help of cytophotometric method. The data obtained reveal the positive correlation between the chromosome number and index of ploidy of testicle. The 13-chromosome species are characterized by small size and the low content of DNA in the spermatides as well as in the follicle wall cells.

## ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *И.И.Кикнадзе, А.Г.Истомина*. Цитология, **14**, 12, 1972, 1519-1528.
2. *B.John, G.M.Hewitt*. Chromosoma, **20**, 1966, 155-172.
3. *И.И.Кикнадзе, Л.В.Высоцкая*. Цитология, **12**, 9, 1970, 1100-1107.
4. *P.G.Fontana, V.R.Vickery*. Chromosoma, **43**, 1973, 75-100.
5. *P.G.Fontana, V.R.Vickery*. Chromosoma, **46**, 1974, 375-395.
6. *P.G.Fontana, V.R.Vickery*. Chromosoma, **50**, 1975, 371-391.
7. *G.L.Stebbins*. Science, **152**, 1966, 1463-1469.
8. *Г.И.Бахтадзе*. Сообщения АН Грузии, **149**, 3, 1994, 502-506.
9. *Р.Ф.Савенко*. Фауна саранчовых Грузии. Тбилиси, 1966.
10. *Г.Ф.Лакин*. Биометрия. М., 1973.

№66 616.13-004.6; 611.77; 616-076; 611-0118.1

ციტოლოგია

ნ. კაკაურიძე

## ეპიდერმისის ზოგიერთი სტრუქტურის მორფომეტრული და კანის მკვებავი სისხლის მილების რაოდენობრივი და ულტრასტრუქტურული თავისებურებანი ათეროსკლეროზის დროს

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. დვჯანოსიმემ 23.12.1992)

ათეროსკლეროზის პირველადი პროფილაქტიკის წარმატებით ჩატარების და თერაპიულ ღონისძიებათა ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით, რაც ესოდენ აუცილებელია მოსახლეობის ფართო ფენების შრომისუნარიანობის დაკარგვის თავიდან აცილებისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სისხლის ძარღვების კედელში მიმდინარე ათეროსკლეროზის საწყისი ცვლილებების მორფოლოგიურ გამოვლინებათა შეფასება [1]. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე კლინიკაში არსებული სადიაგნოზო საშუალებებით ათეროსკლეროზის კლინიკამდელი სტადიის დადგენის შესაძლებლობები მეტად შეზღუდულია. ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი [2], რომლებიც ეფუძნებიან აზრს, რომ კანსა და სისხლძარღვებში (სდ) აორტა, კორონარები) ათეროსკლეროზით გამოწვეული ცვლილებები მიმდინარეობენ პარალელურად იმის გამო, რომ კანი და სდ-ის კედელი აგებულია მეზენქიმოური წარმოშობის უჯრედებით, ფიბრობლასტებით დერმაში და გლუვკუნთოვანი უჯრედებით არტერიების კედელში [3,4]. სწორედ აღნიშნულის გამო, კანში დადგენილ კრიტერიუმებს ანიჭებენ ათეროსკლეროზის სადიაგნოზო მნიშვნელობას.

ამასთანავე, ნაკლებად შესწავლილია კანის, როგორც მთლიანი ორგანოს ცვლილებები, ეპიდერმისის მორფოსტრუქტურათა და კანის მიკროსტრუქტურების მორფომეტრია ათეროსკლეროზის დროს, რის გამოც მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა დერმის დვრილოვანი შრის კაპილარების ხვედრითი წილი და ეპიდერმისის მიკროსტრუქტურების მორფომეტრიული მონაცემები (ეპიდერმისის საშუალო სისქე, ეპიდერმისის უჯრედების რიგების საშ. რაოდენობა), ელექტრონული მიკროსკოპით – ენდოთელიოციტების ულტრასტრუქტურა.

ჩვენ გამოვიკვლიეთ 103 ავადმყოფი (მამაკაცი), რომელთაც ათეროსკლეროზი გამოუვლინდათ მიოკარდიუმის ინფარქტით. შედარებისათვის კი – საკონტროლო ჯგუფის 50 მამაკაცი, რომელთაც ათეროსკლეროზი გამოერიცხათ კლინიკაში არსებული სადიაგნოზო საშუალებებით. ორივე ჯგუფი (ათეროსკლეროზით დაავადებულთა და საკონტროლო) დავყავით სამ-სამ ჯგუფად ასაკის მიხედვით (მიღებული კლასიფიკაციის საფუძველზე) [5].

ამგვარად, საკონტროლო ჯგუფში მოთავსებული 50 გამოსაკვლევი პირი განაწილდა შემდეგნაირად: I ქვეჯგუფში (ახალგაზრდა და მოწიფული ასაკის, 20-44 წ.) – 23, II ქვეჯგუფში (შუა ხნის 45-59 წ.) – 18, III ქვეჯგუფში (ხანში შესულები 60-

74 წ.) - 9 პირი. ათეროსკლეროზით დაავადებულთა (ძირითადი) ჭვუფი დაიყო შემდეგნაირად: IV ქვეკვლევი (ახალგაზრდა და მოწიფული ასაკის) - 25 ავადმყოფი, V ქვეკვლევი (შუა ხნის) - 41, VI ქვეკვლევი (ხანში შესულები) - 37, სულ 103 ავადმყოფი.

ყველა გამოსაკვლევ პირს და ავადმყოფს ჩაუტარდა კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები: ეკგ - 12 სტანდარტული განზრა, ექოკარდიოსკოპია. ცდა ფიზიკური დატვირთვით "Simens-Elma"-ს (შვედური) ფირმის ველოერგომეტრზე ეკგ-ის ჩაწერით Mingograph - 30 (შვედ.) ნების განზრებში, მჭდომარე მდგომარეობაში. დატვირთვას ვატარებდით და ვაფასებდით მიღებული კრიტერიუმებით [6,7]. ლიპიდური ცვლის განსაზღვრა სისხლში: საერთო ქოლესტერინს ვსაზღვრავდით ილკას მეთოდით, ტრიგლიცერიდების კონცენტრაციას - ქიმრეაქტივების ნაკრების (Laxema - ჩეხოსლოვაკია) გამოყენებით, ქოლესტერინს - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებში [8] ჰეპარინის გამოყენებით. ვითვლიდით დაბალი და ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ქოლესტერინს და ათეროგენობის კოეფიციენტს [8,1,9]. კანის მორფოლოგიური კვლევის მიზნით შესწავლილ კონტიგენტში კანის ბიოპტატებს ვიღებდით წინამხრის მედიალური ზედაპირიდან 1,0 მლ 2% ნოვოკაინის ხსნარით წინასწარი გაუტკივარების შემდეგ. სპეციალური დერმატომის მეშვეობით, რომლითაც ამოიჭრება 0,3 მმ დიამეტრის მქონე ბიოპტატი. ერთი ნაწილი ფიქსირდებოდა 12% ფორმალინში მიმოხილვითი მიკროპრეპარატების დამზადების მიზნით; მეორე ნაწილი - აბსოლუტურ აცეტონში კაპილარების აღმოსაჩენად. ჰემატოქსილინ-ეოზინის მეთოდით შეღებვის შედეგად შესაძლებლობა გვქონდა გამოგვეთვალა: 1. ეპიდერმისის საშუალო სისქე სინათლის მიკროსკოპით (ობიექტივი 25, ოკულარი x10) მიკროსკოპის ობიექტივში მოთავსებული მიკროსახსნავის მეშვეობით. ყოველ შემთხვევაში გაზომვას ვაწარმოებდით 50 შემთხვევით ადგილას, გამოგვყავდა საშუალო მაჩვენებელი პირობით ერთეულში, რომელიც შემდეგ გადაგვყავდა მკმ-ში. 2. ეპიდერმისის უჯრედების რიგების საშუალო რაოდენობა სინათლის მიკროსკოპის მეშვეობით (ობიექტივი 25, ოკულარი x10). უჯრედების რიგებს ვითვლიდით (მორჩების ადგილების გამოკლებით) 50 შემთხვევით ადგილას, რის შემდეგ გამოგვყავდა საშუალო მაჩვენებელი. კაპილარებს ვიკვლევდით სისაკიანის მიერ მოდიფიცირებული ჰომორის მეთოდით. კაპილარების ხვედრითი წილის განსაზღვრისათვის პაპილარულ დერმაში მიკროპრეპარატებს ვამუშავებდით გამოსახულებათა ავტომატური ანალიზის სისტემაზე ("TAS-Plus" ფირმა "ლეიცი" გერმანია) მიკროციტოკულაციის კვლევის რესპუბლიკურ ცენტრში. კაპილარების ხვედრითი წილი (კწ) განისაზღვრებოდა სინათლის მიკროსკოპით, გამოთვლა ხდებოდა სათვლელი კვადრატით, რომლის ფართი იყო 14400 მკმ<sup>2</sup>. კაპილარების გამოთვლა ხდებოდა 10 ამგვარ კვადრატში. საშუალო არითმეტიკულის გამოყვანის შემდეგ ფორმულით  $V = S_1/Sx100$  ვსაზღვრავდით მათ ხვედრით წილს პროცენტებში, სადაც  $S_1$  არის კაპილარების ფართი, ხოლო  $S$  - საკვლევი ფართი (14400 მკმ<sup>2</sup>).

ეპიდერმოციტების, ენდოთელიოციტების ულტრასტრუქტურის შესწავლა ხდებოდა 4% პარაფორმალდეჰიდში ფიქსირებული, ეპონში ჩამოყალიბებული, ულტრატომზე დაჭრილი და სათანადოდ დამუშავებულ ულტრათხელ ანათლებში ელექტრონული მიკროსკოპის მეშვეობით. კვლევის შედეგების მათემატიკური შეფასება, დამუშავება ხდებოდა სისტემატური შეფასების ალბათურ-სტატისტიკური მეთოდით [10].

ჩვენი გამოკვლევის თანახმად, ათეროსკლეროზის დროს კბჭ პაპილარულ დერმაში (იხ. ცხრილი) მცირდება ახალგაზრდა ასაკიდანვე, შეადგენს IV ქვეჯგუფში ფართის ერთეულის  $4,5 \pm 0,2\%$  და 1,3-ჯერ ნაკლებია I ქვეჯგუფის მაჩვენებელთან შედარებით ( $P < 0,001$ ), რომელშიც კბჭ შეადგენს  $5,2 \pm 0,3\%$ . შემდეგ ასაკობრივ V ქვეჯგუფში კბჭ კიდევ უფრო იკლებს და ხდება  $3,5 \pm 0,2\%$ , რაც 1,6-ჯერ ნაკლებია ახალგაზრდა და მოწიფული ასაკის დაავადებულთა მაჩვენებელზე ( $P < 0,001$ ), ხოლო საკონტროლო ჯგუფის იმავე ასაკობრივი ქვეჯგუფის მაჩვენებელთან მცირდება 1,7-ჯერ. ხანში შესულ დაავადებულებში კბჭ კვლავ მცირდება  $2,8\% \pm 0,2\%$  -მდე, რითაც სარწმუნოდ განსხვავდება როგორც საკონტროლო ჯგუფის VI ქვეჯგუფის, ასევე დაავადებულთა IV და V ქვეჯგუფების მონაცემებისაგან ( $P < 0,001$ ). ჩვენი გამოკვლევების თანახმად კბჭ პაპილარულ დერმაში უარყოფით კორელაციურ კავშირში იმყოფება ასაკთან, ათეროსკლეროზის დროს კორელაციის კოეფიციენტი ( $\text{კკ}$ ) = 0,48.

გარდა კაპილარების რაოდენობრივი ცვლილებებისა, კაპილარების კედლის ელექტრონული კვლევის საფუძველზე დავადგინეთ რიგი ცვლილებები ათეროსკლეროზის დროს, რომლებიც აისახება ენდოთელიოციტების ულტრასტრუქტურულ ცვლილებებში ახალგაზრდა დაავადებულებში. კერძოდ, შეინიშნებოდა ციტოპლაზმის ორგანელებისაგან გაღარიბება, ლიპიდური წვეთების და მიეღინისმაგვარი სხეულაკების არსებობა, ბაზალური მემბრანის გამკვრივება და გაფაშრება. ზოგ ადგილას განშრევა. აღწერილი სურათით აღნიშნული ქვეჯგუფი მკვითრად განირჩეოდა I ქვეჯგუფის კაპილარების კედლისაგან, სადაც ენდოთელიოციტებში არ შეინიშნებოდა არც ლიპიდური წვეთები და არც მიეღინისმაგვარი სხეულაკები და ორგანელებიც მრავლად იყვნენ წარმოდგენილი ციტოპლაზმაში. IV ქვეჯგუფში ნახული ცვლილებები უფრო ინტენსიურად გამოხატული იყო შუა ხნის და ხანში შესულთა მიკროპრეპარატებში, თუმცა ბევრად ნაკლები ხარისხით, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის შესაბამისი ქვეჯგუფების პირთა მიკროპრეპარატებში.

როგორც ცნობილია, კაპილარების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ნივთიერებათა ცვლა სისხლსა და ქსოვილებს შორის, რაც ხორციელდება ორი მექანიზმით: 1. ფილტრაციით და 2. ნივთიერებათა კონცენტრაციული გრადიენტის მეშვეობით. კაპილარული დიფუზიის მოცულობა და კაპილარული ფილტრაციის სიჩქარე განისაზღვრება ორი მთავარი ფაქტორით: ღია კაპილარების უბნების რაოდენობით და ამ ფართის მასშტაბური სიდიდით [11]. თუ გავითვალისწინებთ ჩვენ მიერ დადგენილ კბჭ-ის შემცირებას და კაპილარების კედლის სტრუქტურულ თვისებებს, თვალსაჩინო გახდება ორივე ამ ძირითადი ფუნქციის - ფილტრაციის და დიფუზიის ცვლილებები ათეროსკლეროზის დროს. მიკროციკულაციის მოშლის შედეგად კი, ხდება ქსოვილოვანი ცვლილებებიც, მათ შორის ეპიდერმისისაც, რაც აისახება ეპიდერმისის სისქის და უჭრედთა რიგების შემცირებაში ათეროსკლეროზის დროს (იხ. ცხრილი).

ეპიდერმისის უჭრედთა რიგების რაოდენობა (ეურრ) ათეროსკლეროზის დროს ასაკობრივი ქვეჯგუფების მიხედვით იცვლება შემდეგნაირად, IV ქვეჯგუფში  $5,6 \pm 0,6$ -ს შეადგენს და 1,2-ჯერ ნაკლებია I ქვეჯგუფის მაჩვენებელთან ( $6,8 \pm 0,1$ ) შედარებით, V ქვეჯგუფის ეურრ ( $5,0 \pm 0,1$ ) 1,5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე II ქვეჯგუფისა ( $7,3 \pm 0,3$ ), ხოლო VI ქვეჯგუფისა ( $4,8 \pm 0,6$ ) - 1,2-ჯერ ვიდრე III ქვეჯგუფის ეურრ. სადაც იგი  $5,6 \pm 0,4$ -ია. სამივე შემთხვევაში  $P < 0,001$ , ე.ი. ეპიდერმისის აღნიშნული მაჩვენებელი



სარწმუნოდ განსხვავდება თითოეული ქვეჯგუფისათვის ათეროსკლეროზის დროს საკონტროლო ქვეჯგუფისაგან.

### ცხრილი

კანის მკვებაჯ კაპილარებისა და ეპიდერმისის ზოგერთი მიკროსტრუქტურის რაოდენობრივი მაჩვენებლები

ჯგუფები	ქვეჯგუფები	კაპილარების ხვ.წილი %	ეპიდერმისის უჯრედების რიგების საშ. რ-ბა	ეპიდერმისის საშ. სისქე მკმ
საკონტროლო	I	6,2±0,3	6,8±0,1	39,1±1,01
	II	5,6±0,3	7,3±0,3	40,6±1,7
	III	4,8±0,4	5,6±0,4	34,5±2,0
ათეროსკლერო- ზით დაავადე- ბულები	IV	4,5±0,2	5,6±0,5	31,6±0,9
	V	3,5±0,1	5,0±0,1	28,9±0,9
	VI	2,8±0,2	4,8±0,6	26,8±0,6

ჩვენი მონაცემებით ეურრ ათეროსკლეროზის დროს უარყოფით კორელაციურ კავშირშია ასაკთან ( $\kappa=0,36; 0,29; 0,34$  IV, V, VI ასაკობრივი ქვეჯგუფების შესაბამისად), რაც იმის მანიშნებელია, რომ ათეროსკლეროზის დროს უჯრედთა რიგები შემცირებას განიცდიან რა რაოდენობაში ახალგაზრდა ასაკიდან, დროის ფაქტორი კვლავაც იწვევს მის შემცირებას. ეურრ-ა ათეროსკლეროზის დროს დადებით კორელაციურ კავშირში იმყოფება პაპილარული შრის კჭ (კვ=0,36).

როგორც ლიტერატურიდან ცნობილია, კერატინოციტებს გააჩნიათ ანგიოგენეზური მოქმედება [12], გამოყოფენ კაპილარების ზრდის ფაქტორს. აღნიშნული ფაქტორები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კანი მთლიანი სისტემაა, სადაც ყველა შემადგენელი სტრუქტურული ელემენტი იმყოფება ურთიერთგანსაზღვრულობაში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეპიდერმისის სისქე (ეს) ათეროსკლეროზის დროს მნიშვნელოვნად ნაკლებია ახალგაზრდა და მოწიფული ასაკის დაავადებულებში (31,6±0,9 მკმ) ამავე ასაკის საკონტროლო ქვეჯგუფის ეპიდერმისის საშუალო სისქეზე. ამ მაჩვენებლის სიდიდეა 1,2 და სტატისტიკურად სარწმუნოა ( $P<0,001$ ). ასევე საშუალო ასაკში ეს დაავადებულებში იკლებს (28,9±0,9 მკმ) 1,4-ჯერ ( $P<0,001$ ) II ქვეჯგუფის მაჩვენებელთან (40,6±1,7 მკმ) შედარებით, ხოლო ხანში შესულთა შორის ეს განსხვავება 1,3-ჯერ მეტია საკონტროლო ჯგუფისთვის ( $P<0,001$ ).

ლიტერატურის განხილვის დროს არ შეგვხვედრია გამოკვლევები, რომლებიც შეეხება ათეროსკლეროზის დროს დერმის შესაბამის ცვლილებებს ეპიდერმისში, თუმცა რიგ ნაშრომებში ნათლად არის წარმოდგენილი ფიზიოლოგიურ პირობებში ეპიდერმისის და დერმის სისქეების დამოკიდებულება კანის კაპილარების რაოდენობას შორის [13]. უნდა აღინიშნოს კანის სისხლის მიმოქცევის მნიშვნელობა და თავისებურება ეპიდერმისის კვებაში, კანის არტერიო-ვენოზურ ანასტომოზებში სისხლის რაოდენობის მომატებისას, რაც ხშირად ვითარდება სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით [14], ეპიდერმისის მკვებაჯ კაპილარებში სისხლის ნაკადი

მკვეთრად მცირდება, ვითარდება კვების მოშლა და უანგბადის ნაკლოვანება. ამგვარად, კანში სისხლის ნაკადის საკმაო რაოდენობის დროსაც კი, ეპიდემიის იმყოფება სისხლით მომარაგების ნაკლებობის მდგომარეობაში, ამიტომ სისხლის ნაკადის უმნიშვნელო დაქვეითებაც კი, იწვევს სისხლის ტროფიკის მოშლას [15]. ათეროსკლეროზის დროს კი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვეთრად უარესდება კაპილარული სისხლის მიმოქცევა კანში.

ჩვენ მონაცემების მიხედვით, ეს ათეროსკლეროზის დროს შემცირებას იწყებს ახალგაზრდა ასაკიდანვე და დადებით კორელაციურ კავშირში იმყოფება პაპილარული დერმის კეწ (კკ=0,41). ასევე ათეროსკლეროზის დროს არსებობს მკიდრო კავშირი ეს და ეურარ-ს შორის (კკ=0,79). ამგვარი მკიდრო კორელაციური კავშირია ათეროსკლეროზის დროს სამივე ასაკობრივ ქვეჯგუფში (IV, V, VI - შესაბამისად კკ ტოლია 0,58; 0,82; 0,75).

ამრიგად, ათეროსკლეროზის დროს უკვე ახალგაზრდა ასაკიდანვე დერმის სისხლძარღვებით გაღარიბებასთან ერთად პარალელურად მცირდება ეპიდემიის სისქე და უჭრედების რაოდენობა.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. ათეროსკლეროზის დროს დერმის დერილოვან შრეში მცირდება კაპილარების ზვედრითი წილი. ცვლილებას განიცდის ენდოთელიოციტების ულტრასტრუქტურა, ყალიბდება ათეროსკლეროზული მიკროანგიოპათია.
2. ათეროსკლეროზის დროს იცვლება ეპიდემიის მორფოსტრუქტურა, მცირდება სისქე და უჭრედების რიცხვის რაოდენობა.
3. ათეროსკლეროზის დროს აღნიშნული ცვლილებები ვითარდება ახალგაზრდა ასაკიდანვე და ღრმავდება ასაკის ზრდასთან ერთად.
4. ჩვენ მიერ წარმოდგენილი მიკროსტრუქტურების მორფომეტრული და ულტრასტრუქტურული მახასიათებლებით ათეროსკლეროზით დაავადებულთა კანი სარწმუნოდ განსხვავდება არადაავადებულთა კანისაგან, რის გამოც მოცემული მაჩვენებლები შეიძლება გამოვიყენოთ ათეროსკლეროზის სადიაგნოზო ტესტად.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის და  
სოც. უზრუნველყოფის სამინისტროს  
ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ს/კ  
ინსტიტუტი

(შემოვიდა 11.01.1993)

Н.Г.Какауридзе

## Некоторые особенности морфометрических показателей микроструктур эпидермиса и количественная и ультраструктурная характеристика капилляров кожи при атеросклерозе

Резюме

Для успешной профилактики и лечения атеросклероза особую важность приобретает обнаружение начальных изменений в стенке артерии. В литературных данных последних лет уделяется большое внимание биопсии кожи как средству диагностики атеросклероза. Работа посвящена изучению удельного веса капилляров, средней толщины эпидермиса и среднего количества клеток эпидермальных рядов и ультраструктурной характеристики эпидермицитов при атеросклерозе. Изучены биоптаты 103 больных инфарктом миокарда и 50 лиц контрольной группы в возрастном аспекте.

Исследование микропрепаратов кожи выявило уменьшение удельного веса капилляров в папиллярном слое, изменение ультраструктур эпидермоцитов и развитие атеросклеротической микроангиопатии. Уменьшались также толщина эпидермиса и среднее количество эпидермальных рядов клеток. Указанные изменения обнаруживались уже в молодом возрасте и усугублялись с возрастом.

Представленные данные могут быть использованы для диагностики ранних стадий атеросклероза.

CYTOLOGY

N. Kakauridze

## Some Features of Morphometric Indices of Epidermis Microstructures. Quantitative and Ultrastructural Characteristics of Skin Capillaries in Atherosclerosis

Summary

The revealing of initial changes in an arterial wall acquires a special significance for successful prophylactic and treatment of atherosclerosis. Much attention has been paid to the skin biopsy as means of atherosclerosis diagnosis in recent literary data. This work is devoted to the study of the specific share of capillaries, average thickness of epidermis and average number of epidermal series cells, as well as ultrastructural characteristics of epidermocytes, in patients with atherosclerosis. Biopstats of 103 patients with myocardial infarction and 50 aged patients of the control group have been studied.

The study of skin micropreparations has revealed decrease of the specific share of capillaries in the papillary layer, change of ultrastructure of epidermocytes and development of atherosclerotic microangiopathy. The thickness of epidermis and the



average number of epidermal series cells had also decreased. The indicated changes which have been revealed even in young people tend to worsen with age.

The data presented can be used for diagnosis of early stages of atherosclerosis.

#### ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *А.Н.Климов*. Превентивная кардиология. М., 1987, 260-321.
2. *H.Bouissou, M.Th. Pieraggi, M. Jullian*. Atherosclerosis, **19**, 3, 1974, 17-23.
3. *H.Bouissou, M.Th. Pieraggi, M.Jullian*. Arch. Anat. Cyt. Fath., **28**, 1980, 17-23.
4. *M.S.Brown, I.L.Goldstein*. Proc. Nat. Acad. Sci. USA, **76**, 7, 1979, 3330-3337.
5. *О.В.Коркушко*. Сердечно-сосудистая система и возраст. М., 1983, 66.
6. *Д.М.Аронов*. Кардиология, **4**, 1979, 5-10.
7. *A.Seiser, K.Cohn*. Amer. J.Cardiol., **30**, 1972, 306-308.
8. Дислиппротеидемия и ишемическая болезнь сердца. М., 1980, 260-320.
9. *W.T.Friewald, K.I.Levy, D.S.Fredricson*. Clin. Chem., **18**, 1972, 499-508.
10. *А.П.Хускивадзе*. Задачи многокритериальной оптимизации и оценивания в эмпирических целостных системах и их решения. Тбилиси, 1991.
11. *К.Розточил, И.Преровский, И.Олива*. Чехословацкая медицина, **1**, 1989, 46-49.
12. *I.S.Wolff, R.G.Harrison*. Invest. Dermat., **61**, 1973, 130-141.
13. *И.И.Михайлов*. Структура и функция эпидермиса. М., 1979.
14. Кожа. Под ред. А.М.Чернуха, Е.П.Фролова. М., 1982, 66.
15. *Н.А.Корнева*. Автореферат канд. дисс. М., 1979.



ა. აბესაძე, ზ. ტაბიძე

## დუოდენური წყლულის წარმოქმნის კოაგულოგენური მექანიზმი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. დევიანოსემ 20.05.1993)

წყლულოვანი დაავადების დროს ჰემოკოაგულაციის მდგომარეობის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები არსებობს. აღნიშნავენ როგორც ჰიპერ, ისე ჰიპოკოაგულემიურ ძვრებს ამ პათოლოგიის დროს.

დარღვევები ჰემოსტაზის სისტემაში აღინიშნება ორგანიზმში სხვადასხვა, ურთიერთგანსხვავებული პროცესების დროს, თანაც ჩვეულებრივ ისინი არ ატარებენ სპეციფიკურ ხასიათს, ზოგჯერ წინ უსწრებენ ამა თუ იმ დაავადების განვითარებას (თრომბოზები და ინფარქტები სხვადასხვა ორგანოებში), ზოგჯერ კი მათი ჩამოყალიბების შემდგომ გამოვლინდებიან (მწვავე პნევმონიები, ვირუსული ჰეპატიტი და სხვა). რიგი დაავადებების მიმდინარეობაში ამ დარღვევებს პათოგენეზური მნიშვნელობა აქვთ, ხოლო ზშირად ისინი მეორეულ ხასიათს ატარებენ და კლინიკურ გაუმჯობესებასთან ერთად ქრებიან.

უძველესი დროიდან დღემდე ავტორთა ერთი ჯგუფი ადგილობრივ ჰემოდინამიკურ ძვრებთან ერთად დიდ როლს ანიჭებს ჰემოკოაგულაციის მდგომარეობას თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის ჩამოყალიბებაში. მეორე კი თვლიან, რომ კუჭის წვევის მაღალი მჟავიანობა, წყლული, განსაკუთრებით წყლულის ირგვლივ არსებული ანთებითი რკალი თვით იწვევენ დარღვევებს ჰემოსტაზის სისტემაში.

წყლულის ჩამოყალიბებისა და ჰემოკოაგულაციის დარღვევების მექანიზმების სწორად გაგებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვან გარსში არსებულ ქსოვილოვან შემდედებელ და ფიბრინოლიზურ ფერმენტთა შესწავლას.

ადამიანის კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვან გარსში აღმოჩენილია მაღალი აქტივობის ჰემოკოაგულაციური და ანტიშემდედებელი ფერმენტები, პროსტაგლანდინები და თრომბოქსანი [1-5]. ლორწოვანი გარსის პროსტაგლანდინისა და თრომბოქსანის სისტემას დაცვითი და ულცეროგენული მოქმედების მედიატორებად თვლიან [3,4].

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ იდაყვის ვენიდან აღებული სისხლის კოაგულოლოგიური მაჩვენებლები, ლოკალურად კუჭში, კერძოდ, კუჭის არტერიებსა და ვენებში მიმდინარე პროცესებს სრულად არ ასახავენ. კუჭის რეზექციის დროს იქმნება შესაძლებლობა კუჭის არტერიისა და კუჭ-ბადეჭონის ვენის სისხლის ჰემოსტაზის შესწავლისა და მისი შედარებისა იდაყვის ვენის სისხლის ანალოგიურ კოაგულოლოგიურ მაჩვენებლებთან, საინტერესოა ჰემოკოაგულაციის მდგომარეობა კუჭის რეზექციის შემდეგ. საფიქრებელია, რომ თუ წყლულოვანი დაავადების დროს ჰემოსტაზის სისტემაში არსებული დარღვევები თვით წყლულით ან მის ირგვლივ არსებული ანთებითი უბნით აიხსნება, მაშინ ამ მიზეზის მოშორებასთან ერთად

ჰემოსტაზის სისტემის მაჩვენებლები ნორმას უნდა უბრუნდებოდნენ, ხოლო თუ ასე არ ხდება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰემოკოაგულაციის დარღვევებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პათოგენეზური როლი ეკუთვნის წყლულის განვითარებაში და ეს შეიძლება იყოს ერთი-ერთი მიზეზი რეზეცირებულ კუჭში განმეორებითი წყლულების ჩამოყალიბებისა.

ჩვენ შევისწავლეთ გასტროდუოდენური ზონის ლორწოვანი გარსის ექსტრაქტების ჰემოკოაგულაციური და ანტიშემდეგბელი აქტივობა კსკიპეტროვისა და თანაავტორთა მეთოდით [1] და ჰემოსტაზის სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი იდაყვის ვენის, კუჭის არტერიულ და ვენურ სისხლში (თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გამო კუჭის რეზექციის დროს), თანამედროვე ბიოქიმიური მეთოდებით. ანტირომბინ III ესაზღვრავდით ჰენსენის და ლოელიგერის მეთოდით, თრომბოქსანსა და პროსტაციკლინს რადიოიმუნური მეთოდით. თრომბოციტების ადჰეზივობას ვიკვლევდით პ.რაიტის მეთოდის ვ.ბალუდას მოდიფიკაციით, აგრეგაციას გ.ბორნის მეთოდით. საკონტროლოდ შესწავლილია 60 ჯანმრთელის კოაგულოგრამა და უმედური შემთხვევით დაღუპული 14 ადამიანის კუჭისა და თორმეტგოჯას ლორწოვანი გარსის ექსტრაქტების ჰემოკოაგულაციური და ანტიშემდეგბელი აქტივობა.

თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების მქონე 264 ავადმყოფის იდაყვის ვენის სისხლში (მკურნალობამდე) აღინიშნებოდა კოაგულოლოგიური მაჩვენებლების მკვეთრად გამოხატული მერყეობა, რაც ერთი და იმავე პროცესით აიხსნებოდა. არსებითად, ყველა შემთხვევაში ჰემოკოაგულაციის დარღვევა გამოვლინდა ჰიპერკოაგულემიური ტიპით, არაიშვიათად გამოვლენილი ჰიპოფიბრინოგემია, ჰიპოპროთრომბინემია ფიბრინოლიზის გააქტივებით („ერუ ჰიპოკოაგულემია“), სინამდვილეში ჰეშმარიტ ჰიპერკოაგულემიას, დისემინირებული სისხლშილიშიდა შედეგების სინდრომის III სტადიას წარმოადგენდა. ამაში აგრეთვე გვარწმუნებდა თრომბოციტების ადჰეზივობის და აგრეგაციის მომატება და ხშირ შემთხვევაში დადებითი პარაკოაგულაციური სინჯები. დისემინირებული სისხლშილიშიდა შედეგების სინდრომის I სტადია გამოვლინდა 139 (52,7%), II - 94 (35,6%) და III სტადია - 31 (11,7%) შემთხვევაში. ხშირად დადებითი იყო პარაკოაგულაციური ტესტები. ჯანმრთელებთან შედარებით ანტირომბინი III დაქვეითებული იყო, თრომბოქსანი - მომატებული, პროსტაციკლინი დაკლებული. იდაყვის ვენის სისხლში როგორც მკურნალობამდე, ისე ნარკოზის დროს ჰემოკოაგულაციის მოშლა დისემინირებული სისხლშილიშიდა შედეგების სინდრომის სახით მიმდინარეობდა. ნარკოზის დროს ამ სინდრომის III სტადია უფრო ხშირი იყო, მკვეთრად მატულობდა თრომბოქსანის მაჩვენებელი, უფრო ხშირად აღინიშნებოდა დადებითი პარაკოაგულაციური სინჯები.

კუჭის არტერიულ სისხლში (შესწავლილია 43 ავადმყოფი) ამ სინდრომის I სტადია გამოვლინდა 13 (30,2%), II-14 (32,6%) და III სტადია 16 (37,2%) შემთხვევაში. პარაკოაგულაციური სინჯები ყოველთვის დადებითი იყო. მკვეთრად იკლებდა ანტირომბინი III და პროსტაციკლინი. ნორმასთან შედარებით 13,6-ჯერ მომატებული იყო თრომბოქსანი. კუჭ-ბადექონის ვენურ სისხლში (67 ავადმყოფი) დისემინირებული სისხლშილიშიდა შედეგების სინდრომის I სტადია აღინიშნა 21 (31,3%), II სტადია - 22(32,8%) და III სტადია - 24 (35,8%) შემთხვევაში. 65 შემთხვევაში პარაკოაგულაციური სინჯები დადებითი იყო. მკვეთრად დაქვეითებული იყო ანტირომბინი III და პროსტაციკლინი. ნორმასთან შედარებით მკვეთრად მატულობდა თრომბოქსანი.

იქიდან გამომდინარე, რომ ნარკოზის ქვეშ მყოფი, ოპერაციის დროს გამოკვლეული ავადმყოფები ერთნაირ პირობებში იმყოფებოდნენ, ნარკოზისა და ოპერაციული პერიოდის ზემოქმედება იდაყვის ვენის ან კუქის არტერიულ და ვენურ სისხლზე, ალბათ, დაახლოებით ერთნაირია, რომ ერთსა და იმავე ავადმყოფებს ერთდროულად ვულვებით სისხლს იდაყვის ვენიდან, კუქის ვენიდან და კუქის არტერიიდან, შეიძლება დაეასკენათ, რომ ჩვენ მიერ გამოვლენილი დისემინირებული სისხლმომწიდა შედეგების სინდრომის II და III სტადიების განსაკუთრებული სიხშირე კუქის სიახლოვეს სარწმუნო უნდა იყოს. ჰემოკოაგულაციის მოშლის განსაკუთრებული სიმკვეთრე კუქის სიახლოვეს მიუთითებს ამ დარღვევების დიდ მნიშვნელობაზე წყლულის წარმოქმნის პათოგენეზში.

ჰემოკოაგულაციის მოშლა ვლინდებოდა კუქის რეზექციიდან 0,5 - 1 წლის და მეტის შემდეგაც (შესწავლილია წყლულოვანი დაავადების გამო რეზექცირებული კუქის მქონე 52 ავადმყოფი), მიმდინარეობდა ჰიპერკოაგულემიური ტიპით და ლისემინირებული სისხლმომწიდა შედეგების სინდრომის I და II სტადიებით გამოიხატებოდა. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, საკმაოდ დამაჯერებლად მიუთითებს იმაზე, რომ ჰემოსტაზის მდგომარეობა ნაკლებადაა დამოკიდებული თვითონ წყლულსა და სიმჟავის დონეზე. საფიქრებელია, რომ ჰემოკოაგულაციის მოშლა წყლულოვანი დაავადების დაწყებასთან ერთად ვითარდება ან უფრო მეტიც - წინ უძღვის მას და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პათოგენეზურ მექანიზმს ადგილობრივი სისხლის მიმოქცევის მოშლისა და წყლულის განვითარებაში.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იდაყვის ვენიდან აღებულ სისხლში ჰემოსტაზის სისტემის ცვლილებები არ იყო დამოკიდებული კუქის წვენი მჟავიანობის მაჩვენებლებზე, რომლებიც წყლულოვანი დაავადებისას ხშირად მომატებული იყო, ხოლო რეზექცირებული კუქის შემთხვევაში საგრძნობლად ან მკვეთრად დაქვეითებული. ჰემოსტაზის უჩრდოვანი ფაქტორების შესწავლამ გვიჩვენა თრომბოციტების ადჰეზიოზის მომატება, აგრეგაციის დასაწყისის როგორც დაჩქარება, ისე ზოგჯერ დაგვიანება და აგრეგაციის სიმაღლის მომატება კონტროლთან შედარებით. აღნიშნული ძვრები განსაკუთრებით გამოხატული იყო კუქის არტერიულ და ვენურ სისხლში. საერთოდ, ჰიპერთრომბინემია, ხსნადი ფიბრინ-მონომერული კომპლექსები აძლიერებენ ადენოზინდიფოსფატის გამოთავისუფლებას თრომბოციტებიდან. აძლიერებენ ამ უკანასკნელთა აგრეგაციას და, ამგვარად, მიკროკოტების წარმოქმნას. ნაწილობრივ ან მთლიანად პოლიმერიზებული ფიბრინიც აძლიერებს თრომბოციტების ადჰეზიოზისა და აგრეგაციას. ოღონდ შემდეგში, ფიბრინოგენის დეგრადაციის პროდუქტების სულ უფრო გაძლიერებულ წარმოქმნასთან ერთად თრომბოციტების აღნიშნული ფუნქციები ითრგუნება. შეიძლება ამ მოვლენით აიხსნებოდეს ის, რომ წყლულოვანი დაავადების დროს ვლინდებოდა როგორც თრომბოციტების აგრეგაციის დასაწყისის დაჩქარება, ისე ზოგჯერ - აგრეგაციის დაგვიანებაც.

60 ჯანმრთელის ჰემოკოაგულაციის მაჩვენებლებთან შედარებით, უბედური შემთხვევით დაღუპულთა 14 გვამის კუქისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანი ხასიათდებოდა თრომბოპლასტიურ და ანტიშემდეგებელ ფერმენტთა მაღალი აქტივობით (ყველა შემთხვევაში სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობით). შემდეგდებულ ელემენტთა აქტივობაზე მიუთითებდა შემდეგი: თრომბოციტის ხარისხის მკვეთრი მომატება საკონტროლო სისხლზე გვამების დაუზიანებელი გასტროდუოდენური ლორწოვანის ზემოქმედებით. პლასმის რეკალციფიკაციის დრო გასტროდუოდენურ ზონაში შემოკლებული იყო, პროთრომბინის მოხმარება

გაძლიერებული, პლაზმის ტოლერანტობა ჰეპარინისადმი მომატებული, ფიბრინაზის აქტივობა მომატებული. გასტროდუოდენურ ზონაში ანტიშემდეგებელ ფერმენტთა აქტივობაზე მიუთითებდა თრომბინის დროის გახანგრძლივება, ჰეპარინის დროის მომატება და ფიბრინოლიზური აქტივობის გაძლიერება – ეუგლობულინური კოლტის ლიზისის დროის შემოკლება. ამგვარად, ნათლად ჩანს, რომ დაუზიანებელი გასტროდუოდენური ზონის ლორწოვანი გარსი დიდი რაოდენობით შეიცავს როგორც ჰემოკოაგულაციურ, ისე ანტიშემდეგებელ ფერმენტებს.

მათთან შედარებით, თრომბეტოგოზა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გამო რეზეცირებული გასტროდუოდენური ზონის ყველა უბნის (ანტრალური ნაწილის, მცირე და დიდი სიმრუდის) ლორწოვანი გარსის ექსტრაქტები ავლენდნენ კიდევ ერთ მალაღ ჰემოკოაგულაციურ აქტივობას, განსაკუთრებით კი წყლულის ახლო უბანში. წყლულის ახლოს ლორწოვანი გარსიდან აღებული ექსტრაქტები მკვეთრად აძლიერებდნენ პროთრომბინის მოხმარებას, მათი შემოკმედეგებით პლაზმის რეკალციფიკაციის დრო მოკლდებოდა, პლაზმის ტოლერანტობა ჰეპარინისადმი მატულობდა, შედარებით უმნიშვნელოდ მატულობდა თრომბოტესტის ხარისხი და ფიბრინაზის აქტივობა. გვაშების დაუზიანებელი ლორწოვანი გარსის ექსტრაქტებთან შედარებით, წყლულოვანი დაავადებით ავადმყოფთა წყლულის ახლო უბნებიდან აღებული ლორწოვანი გარსის ექსტრაქტები მკვეთრად დაქვეითებული ანტიშემდეგებელი აქტივობით ხასიათდებოდნენ, ამ ექსტრაქტების სისხლზე დამატებისას ჰეპარინის დრო შემოკლებული იყო, ასევე შემოკლებული იყო თრომბინის დრო, ხოლო ფიბრინოლიზური აქტივობა მკვეთრად იყო დაქვეითებული, რაზეც მეტყველებდა ეუგლობულინური კოლტის ლიზისის დროის გახანგრძლივება. კუჭის ანტრალური ნაწილის, მცირე და დიდი სიმრუდის ლორწოვანის ექსტრაქტების ფიბრინოლიზური აქტივობა უფრო მაღალი იყო, ვიდრე ჯანმრთელთა იდაყვის ვენის სისხლში, თუმცა რამდენადმე უფრო დაქვეითებული იყო გვაშების დაუზიანებელი ლორწოვანი გარსის ექსტრაქტებთან შედარებით. 12-გოჯას წყლულოვან უბანში ჰემოკოაგულაციური ფერმენტების მკვეთრი გააქტივების ფონზე ფიბრინოლიზური აქტივობის გამოხატული დაქვეითება შეიძლება გამოწვეული იყოს ფიბრინოლიზური სისტემის თავდაპირველი გააქტივებით და მისი შემდგომი გამოფიტვით. მითუმეტეს, რომ ანტიშემდეგებელი ფაქტორების გამოფიტვა ანტირომბინ III დაქვეითების სახით ჩვენ კუჭის არტერიულ და ვენურ სისხლშიც აღვნიშნეთ, რაც, ალბათ, ადგილობრივი დისემინირებული სისხლშიღა შედეგების სინდრომის გამოვლენას წარმოადგენს.

გასტროდუოდენური ზონის ლორწოვან გარსში ქსოვილოვან ჰემოკოაგულაციურ ფერმენტთა აქტივობის მომატება და იქვე ფიბრინოლიზური აქტივობის მკვეთრი დაქვეითება იწვევს ფიბრინის წარმოქმნის გაძლიერებას და ქმნის პრეტრომბოზულ მდგომარეობას. ლოკალური თრომბოზისა და სისხლის მიმოქცევის მოშლის განვითარება კი შეიძლება გახდეს (წყლულის წარმოქმნის სხვა მექანიზმებთან ერთად) ლორწოვანი გარსის დანეკროზებისა და დაწყლულების მიზეზი.

ამგვარად, 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს ჰემოსტაზის სისტემაში აღნიშნული ჰიპერ- და ჰიპოკოაგულემიური მდგომარეობანი ერთი და იმავე მოვლენის, დისემინირებული სისხლშიღა შედეგების სინდრომის სხვადასხვა სტადიის წარმოადგენენ. ჩვენი აზრით, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ლიტერატურაში არსებული წინააღმდეგობანი წყლულოვანი დაავადების დროს ჰემოკოაგულაციის შეფასებაში.



ის ფაქტი, რომ ჰემოკოაგულაციის მოშლა თვისობრივად ერთგვაროვანი იყო მიუხედავად კუჭის სეკრეციის მდგომარეობისა და განსაკუთრებით კი ის, რომ რეზექციიდან 6 თვის, 1 წლის და მეტის შემდეგაც ჰემოკოაგულაციის ცვლილებები თვისობრივად იგივე იყო, როგორც წყლულოვანი დაავადების დროს, ვფიქრობთ, საკმაოდ სარწმუნოდ მიუთითებს იმაზე, რომ ჰემოსტაზის სისტემის მდგომარეობა ნაკლებადაა დამოკიდებული თვითონ წყლულზე და სიმკვავის დონეზე. საფიქრებელია, რომ დისემინირებული სისხლშილია შედეგების სინდრომი დაავადების დაწყებასთან ერთად ვითარდება, ან უფრო მეტიც – წინ უძღვის მას და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ადგილობრივი სისხლის მიმოქცევის მოშლისა და წყლულოვანი დაავადების განვითარებაში. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ლოკალური ჰემოსტაზის მაჩვენებლებიც, კერძოდ, დისემინირებული სისხლშილია შედეგების II და III სტადიების განსაკუთრებული სიხშირე კუჭის არტერიულ და ვენურ სისხლში, იდაყვის ვენის სისხლთან შედარებით.

წყლულოვანი დაავადების დროს კუჭისა და 12-გოჯას ლორწოვან გარსში მომატებულია ქსოვილოვან ჰემოკოაგულაციურ ფერმენტთა აქტივობა, განსაკუთრებით წყლულის ახლო უბნებში, აქვე მკვეთრადაა დაქვეითებული ფიბრინოლიზი. ეს მიუთითებს ფიბრინის წარმოქმნის გაძლიერებაზე და განაპირობებს პრეტრომბოზულ მდგომარეობას, შეიძლება გამოიწვიოს თრომბის ჩამოყალიბება, ადგილობრივი სისხლის მიმოქცევის მოშლა, რაც სხვა ულცეროგენულ მექანიზმებთან ერთად იწვევს ლორწოვანი გარსის ნეკროზსა და დაწყულულებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
 ინსტიტუტი

(შემოვიდა 31.05.1993)

## ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

А.И.Абесадзе, З.Ш.Табидзе

### Коагулогенный механизм возникновения дуоденальной язвы

#### Резюме

У 264 больных язвенной болезнью двенадцатиперстной кишки нарушения гемокоагуляции проявлялись различными стадиями синдрома диссеминированного внутрисосудистого свертывания крови. Экстракты слизистой оболочки резецированного желудка и двенадцатиперстной кишки 67 больных проявляли высокую гемокоагулирующую активность, особенно взятые из околоязвенной зоны, там же отмечалось резкое угнетение фибринолиза. Усиленное фибринообразование может быть причиной нарушения локального кровообращения, некроза и изъязвления слизистой оболочки.

EXPERIMENTAL MEDICINE

A. Abesadze; Z. Tabidze

Coagulative Mechanizm of Duodenal Ulcer Origin

Summary

In 264 patients with duodenal ulcer disease, hemocoagulation disorders have been revealed by different stages of Dissiminated intravascular coagulation. Extracts of resected mucous membrane of the stomach and duodenal have shown high hemocoagulative activity, especially around ulcer zone, and sharp decrease of fibrinolysis. High fibrinorogin may be the reason of mucosa local circulation disorders, necrosis and ulcerogenesis.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *В.П.Скипетров, Н.А.Потапкина, В.А.Чернышева.* Клин. хир., 5,1976, 44-47.
2. *S.Isacson.* Fibrinolysis in the upper gastrointestinal tract. Copenhagen, 1987, 19-21.
3. *B.M.Peskar.* Acta gastroenterol. Belg., 46, 1983, 429-436.
4. *B.M.Peskar.* Wien. Klin. Wschr., 96, 4, 1984, 133-138.
5. *M.F.Scully, V.Ellis, V.V.Kakkar.* Lancet, 2, 8509, 1986, 718-719.



მ. ბუცხრიკიძე

## აუსლაუტის ყრუ ხშულთა პირველადობის შესახებ თურქულ ენებში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა თ.გამყრელიძემ 26.10.1994)

ფიქსირებულმახვილიან ენებში შესწავლილ იქნა მიმართებები, რომლებიც არსებობს სიტყვათმახვილის ადგილსა და აუსლაუტში მქდერ თანხმოვანთა დაყრუებას შორის. ჩამოყალიბდა ორი იმპლიკაციური უნივერსალია: უნივერსალია 1. თუ მახვილი სიტყვის ბოლო მარცვალზეა, დაყრუება აუსლაუტში არ ხდება. უნივერსალია 2. თუ მახვილი სიტყვის ბოლო მარცვალს არ ეცემა, ე.ი. სიტყვის პირველ/ბოლოდან მეორე მარცვალზეა ან ადგილითაა შემოსახლერული (როგორც ეს ძე.ინდოევროპული ენებისთვის იყო დამახასიათებელი), მაშინ აუსლაუტში მქდერები ყრუვდება[1].

ზემოთ ჩამოყალიბებული მიმართებების არსებობა დადასტურდა 11 არამონათე-სავე ენობრივ ჯგუფში (50-მდე ენა). ერთი შეხედვით, უნივერსალია 1-ში გამონაკლისს წარმოადგენს თურქული ენები, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული მოსახრება, რომლის თანახმადაც თურქულ ენებში აუსლაუტში მქდერი ხშულები ყრუვდება. თურქული ენების სინქრონიული და დიაქრონიული მასალების შესწავლის შედეგად, ჩამოყალიბდა განსხვავებული თვალსაზრისი ამ საკითხზე. იგი ეწინააღმდეგება მეცნიერთა იმ ნაწილის შეხედულებას, რომლებიც თვლიან, რომ თურქულ ენებში აუსლაუტში წარმოდგენილი ყრუ ხშულები არის დაყრუებული მქდერები, და რომ ეს მქდერები აღდგება ფუძეზე ხმოვნით დაწყებული აფიქსის მიერთებისას. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე თურქოლოგის აზრს ამ საკითხზე: ე.ვ. სევორთიანი თურქული ენების შესახებ აღნიშნავს: "Наиболее полно подвергаются оглушению звонкие смычные b, c, d, g. Недопустимость звонких согласных в конце слов представляет собой не изначальный процесс, а продукт последующего фонетического развития, что доказывается, между прочим, фактом неполного оглушения ряда звонких согласных в одних языках и замены их глухими в других, а также колебаниями в озвончении глухих согласных в позиции между гласными" [2].

მომზობილი ციტატის პირველ ნაწილში ე.ვ. სევორთიანი მქდერ ხშულებს პირველადი წარმოშობის ბგერებად მიიჩნევს. ამავე მოსახრებას იზიარებს თ.პრიცაკიც [3]. ა.მ. შჩერბაკი [4], ბ.ა. სერბერენიკოვი [5], ლ.ბაზენი [6], ნ.ა. ბასაკოვი [7] და სხვები ეწინააღმდეგებიან პროტოთურქულ დონეზე მქდერების აღდგენას აუსლაუტში. ორბონ-უნისეის ძეგლთა შესწავლის შემდეგ ლ.ბაზენმა ჩაატარა თანხმოვან ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი. აუსლაუტისთვის მან ივარაუდა 13 ფონემა: [p], [m], [t], [c], [s], [š], [v], [l], [n], [j], [k], [ç], [m] ე.ი. არსად

აუსლაუტში მქდერი ხშული არ დადასტურდა, როგორც ვნახეთ, მეცნიერთა დიდი ნაწილი მხარს უჭერს პროტოთურქულ ენაში ყრუ ხშულების არსებობას და გამოირიცხავენ მქდერი ხშულების წარმოდგენას ამ პოზიციაში. პროტოთურქულში ფიქსირებულ სიტყვათმთავილს ვ.გრონბეკი [8], ბ.ა. სერგებრენიკოვი [4] და სხვა ენათმეცნიერები [9] ვარაუდობენ სიტყვის პირველ მარცვალზე, ე.ი. პროტოთურქულ ენაში მახვილი სიტყვის პირველ მარცვალზე იყო და აუსლაუტში მხოლოდ ყრუები იყო წარმოდგენილი. ეს კი უნივერსალია 2-ში ჩამოყალიბებულ მიმართებას ასახავს.

ციტატის მეორე ნაწილში საუბარია იმის შესახებ, რომ თურქული ენების გარკვეულ ნაწილში აუსლაუტში მქდერი ხშულები გვხვდება მაშინ, როცა მეორე ნაწილში, იმავე პოზიციაში, ყრუ ხშულები არის წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, ვ.გრონბეკმა ჩამოაყალიბა ფონეტიკური წესი, რომლის თანახმადაც, აზერბაიჯანულში, თურქულში, უზბეკურსა და სხვა თანამედროვე თურქულ ენებში აუსლაუტის მქდერი ხშული შესატყვისია პროტოთურქული ყრუ ხშულისა, რომელსაც წინ გრძელი ხმოვანი უსწრებს. იქ, სადაც პროტოთურქულში მოკლე ხმოვანი იყო ყრუ ხშულის წინ, თანამედროვე თურქულ ენებში შესაბამისი ყრუ ხშულები მოგვცა [10]. მაგ., აზერბაიჯანულში *jad* 'უცხო' (\**ǰā*) და *jat* 'დაწეი' (\**ǰāt*); ; *ad* 'სახელი' (\**ād*) და *at* 'ცხენი' (\**at*); *od* 'ცეცხლი' (\**ot*) და *ot* 'ზალახი' (\**ot*) და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანულსა და სხვა თურქულ ენებში აუსლაუტის მქდერი ხშული მეორეულია და მისი წარმოშობა დაკავშირებულია წინამავალი ხმოვნის თავდაპირველ სიგრძესთან.

ციტატის მესამე ნაწილში საუბარია ყრუ თანხმოვანთა ინტერვოკალურ პოზიციაში გამქდერების შესახებ და ამ მოვლენის არასისტემურ ხასიათზე. გამქდერების არასისტემურობის მოტივირება გაჭირდება, მაგრამ თვით ამ ფაქტის ახსნა შეიძლება, თუ გავითვალისწინებთ თურქული ენების მორფოლოგიურ სტრუქტურას. მოვიყვანთ ბ.ა.სერგებრენიკოვის მსჯელობას თურქული ენების მორფოლოგიური და ფონეტიკური სტრუქტურის შესახებ, რომელიც, ვფიქრობთ, ახსნის გამქდერების მიზეზებს: "При наличии морфологической пассивности начала слова, заметно снижается необходимость смысловоразличения в плане чисто фонологическом, предпочтение отдается глухим согласным как фонологически менее выразительным. Основной фокус фонемной вариативности в этих языках переносится в середину слова на стыке морфем" [11].

აუსლაუტის ყრუ ხშულის გამქდერება ხმოვნით ან მქდერი თანხმოვნით დაწყებული აფიქსის მიერთებისას ბევრ ენაშია ცნობილი (მაგ. ქართული, ლაზური, სომხური და ა.შ.)

ზემოთქმულის საფუძველზე, აუსლაუტის ყრუ ხშულთა მეორეულობის შესახებ, ვ. სეგორთიანის არგუმენტები არ არის გასაზიარებელი. რ.ბ. ლიზიც იზიარებს შეხედულებას თურქულ ენაში აუსლაუტში მქდერთა დაყრუების შესახებ. იგი წერს: "...взрывные согласные на конце слова и на конце морфемы перед негласными теряют свою звонкость" [12]. საილუსტრაციოდ მოაქვს *gok* 'ცა'. "gok"-ში *k* არ შეიძლება მივიჩნიოთ დაყრუებულ გდ, რადგან ეს სიტყვა აღდგება პროტოთურქულში და შესატყვისები აქვს სხვა თურქულ ენებში აუსლაუტის *k*-ით [13]. მაგ., \**kō k* ~ თურქმ. *gōk*; ხაკას. *kōk*; ყარ. *kō k*, *kck*; უზბ. *kŷ k* და ა.შ.

დაყრუების შესახებ თურქულ ენაში ა.ნ. კონონოვი წერს: "В конце слова, а также в сочетании с глухими согласными b,d оглушаются: kitap "книга", sepet "корзина" [14].

რაც შეეხება არაბულიდან ნასესხებ "kitap"-ს (არაბულში აუსლაუტში b არის). როგორც ცნობილია, ნასესხობები ყველაზე ნაკლებად ფონეტიკურ სტრუქტურაზე ახდენს გავლენას. მორფოლოგიური მაწარმოებლები და სინტაქსური წყობა უცხო ენისა ადვილად იკიდებს ფეხს და მკვიდრდება მეორე ენაში, რასაც ვერ ვიტყვით ფონეტიკურ სტრუქტურაზე. ენა ყოველ ნასესხობას მისთვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის წესებით აფორმებს. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე "kitap"-შიც. რაც შეეხება "sepet"-ს, t აქ პირველადია, რადგან აღდგება ძველ თურქულში "säpät" სახით.

ლ.ა. პოკროვსკაია აღნიშნავს, რომ გაგაუზური ენის თანხმოვანთათვის დამახასიათებელია "...оглушение конечных б,д,ж,з, и переход их в п,м,с,г. При аффиксации слова звонкие б,д,ж,з восстанавливаются" [16]. მაგალითად მოაქვს дур "ფსკერი"-dyby "ფსკერი" (ბრალდ.ბრ.). არ შეიძლება "dyp"-ში p ჩაითვალოს დაყრუებულ ხ-დ, რადგან ეს სიტყვას აღდგება პროტოთურქულში და შესატყვისობები (აუსლუტის p-თი) აქვს სხვა თურქულ ენებშიც, მაგ., \*ty:p "ფსკერი" ~ ყირგ. түр; ყაზახ. теr; ხაკას. түр; ნოლ. tёр და ა.შ.

როგორც ვნახეთ, რ.ბ. ლიზის, ა.ნ. კონონოვის, ლ.ა. პოკროვსკაიას მიერ მოტანილი მაგალითები არ გამოდგება დაყრუების საილუსტრაციოდ. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ თურქულში აუსლაუტში დაყრუება არ ხდება. ამდენად, გასაზიარებელია ბ.ა. სერებრენიკოვის მოსაზრება თანამედროვე თურქულ ენებში წარმოდგენილი ყრუ ხშულების პროტოთურქული ყრუ ხშულებიდან მომდინარეობის შესახებ [5].

არაერთი მაგალითი ადასტურებს ამგვარი მოსაზრების მართებულობას: \* kesäk "ნაწილი" ~ ყაზ., ყირგ. kizäk \* kezäk "საქირი" ~ ბაშკ. kizäk; ყაზ., ყირგ., ნოლ., ყარ. kezek \* ka:p 'ფორმა' ~ ნოლ., ყირგ., ყუმ. кер., თურქ. kup., იაკუტ. куэр., ჩუვ. кар ე.ი. უბრაბატოვაც აღნიშნავს, რომ "смычные глухие п, т, к, х в конце якутско-тюркских основ имеют прямые соответствия в древнетюркском языке" [17].

ყრუ ხშულების შემორჩენა თანამედროვე თურქულ ენებში გამოწვეული უნდა იყოს: 1. ამ ენათა აგლუტინაციური წყობით, რომელიც გულისხმობს ფუძისეული მორფემის თავდაპირველი ბგერითი შედგენილობის შენარჩუნებას [17] და 2. ყრუ თანხმოვანთათვის დამახასიათებელი გამძლეობით ცვლილებებისადმი. როგორც ცნობილია, ყრუ თანხმოვნები ძლიერ ბგერებს განეკუთვნებიან, რადგან წარმოიქმნება საარტიკულაციო ორგანოთა მეტი დაძაბულობით, ვიდრე მკვდრები და სონორები [18]. ამდენად, თურქულ ენებში აუსლაუტში დაყრუება არ ხდება. ეს ენები არ წარმოადგენს გამონაკლისს უნივერსალია 1-ში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
 აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

М. Буцхрикидзе

## Первичность глухих смычных в ауслауте тюркских языков

Резюме

В универсалии – „если фиксированное ударение на последнем слове, в ауслауте оглушение не произойдет“ – тюркские языки, с учетом высказанного в специальной литературе мнения об оглушении звонких смычных в ауслауте, являлись исключением.

Диахронический и синхронный анализ этих языков показал, что глухие смычные являются не оглушенными звонкими, а первичными звуками, так как они имеют прямые соответствия в древнетюркском и других тюркских языках. Сохранение глухих в этой позиции вызвано агглютинативным строем этих языков и устойчивостью глухих к изменениям. Таким образом, в тюркских языках тоже работает сформулированная в универсалии закономерность.

LINGUISTICS

M. Butskhrikidze

## Primacy of the Final Voiceless Stops in the Turkic Languages

Summary

It is widely accepted that in the Modern Turkic languages the final stops are devoicing.

Diachronic and synchronic investigation had shown that the voiceless stops at the end of the word are prototypes as they have regular correspondences in the Old Turkic languages. Preservation of the voiceless consonants are caused by the agglutinative structure and by the nature of the voiceless stops to hardly undergo the changes.

Thus, in the Turkic languages also works the regularity, formulated in the universal: if the fixed word stress is on the final syllable, devoicing of the final obstruents do not occur.

### ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *M. Butskhrikidze*. Bull. Georg. Acad. Scien. 149, 3, 1994, 534-536.
2. *Э.В. Севортян*. Фонетика турецкого литературного языка. М., 1955, 66.
3. *O. Pritsak*. UAJB, XXXIII 1-2, 1961, 142.
4. *А.М. Щербак*. Сравнительная фонетика тюркских языков. Л., 1970, с. 95.
5. *Б.А. Серебrenников, Р.З. Гаджиева*. Сравнительно-историческая грамматика тюркских языков. М., 1986, 37.
6. *L. Bazin*. UAJB, XXXIII, 1961.

7. *Н.А.Баскаков*. Яз. Н. СССР, т.2. М., 1966.
8. *V.Gronbech*. Lydh 71,93 აგრეთვე, *М.Ряшен*. Материалы по исторической фонетике тюркских языков. М., 1955, 33.
9. Сравнительно-историческая грамматика тюркских языков. Фонетика. М., 1984 420.
10. *V.Gronbech*. For studier til tyrkish lydhistorie. Kobenhavn, 1902.
11. *Б.А.Серебрянников*. Морфологическая типология и проблемы классификации языков. М.-Л., 1956.
12. *Р.В.Лиз*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XIX. М., 1984.
13. *Э.В.Севортян*. Этимологический словарь тюркских языков. М., 1980.
14. *А.Н.Кононов*. Грамматика современного турецкого языка. М.-Л., 1956.
15. Древнетюркский словарь. Л., 1979.
16. *Л.А.Покровская*. Яз. Н. СССР, т.2. М., 1966.
17. *Е.И.Убрятова*. Якутский язык и его отношение к другим тюркским языкам, а также к языкам монгольским и тунгусо-маньчжурским. М., 1960.
18. Грамматика современного якутского литературного языка. М., 1982.

ნ. გურგენიძე

## საოჯახო ბიბლიოთეკები საქართველოში, როგორც კულტურის კერები

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვიხარიაშვილმა 14.7.1995)

XIX საუკუნის დასაწყისში წინა საუკუნეში აღორძინებული საბიბლიოთეკო საქმიანობა ერთბაშად დაქვეითდა და უმდიდრესი მემკვიდრეობა თითქმის არარაობამდე დავიდა. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის უმთავრეს ღერძს სამონასტრო ბიბლიოთეკები წარმოადგენდა. ქართული წიგნადი პროდუქციის უმეტესი და უმდიდრესი ნაწილი სწორედ აქ იყო დაცული. ეკლესია-მონასტრების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისაგან თანდათან ჩამოშორებამ და მათი მხოლოდ საკულტო დაწესებულებებად გადაქცევამ დიდი ზიანი მოუტანა საბიბლიოთეკო საქმეს, განსაკუთრებით 1811 წლიდან, მას შემდეგ, რაც ქართულ ეკლესიას ავტოკეფალიის უფლებები ჩამოერთვა.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში საზოგადოებრივი სარგებლობის ბიბლიოთეკები აღარ არსებობდა, ამ მიმართულებით საქმიანობის მთელი სიმძიმე, ძირითადად, ქვეყნის მოწინავე ინტელიგენციას დააწვა მხრებზე. მათ უნდა გადაერჩინათ ქართული წიგნი განადგურებისაგან. ამისათვის ისინი სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რამდენადაც შეეძლო, ცდილობდა თავისი ბიბლიოთეკების გამდიდრებას და ზრუნავდა მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე. შეძლებული ოჯახები იძენდნენ და ეკლესია-მონასტრებიდან პირად ბიბლიოთეკებში გადმოჰქონდათ წიგნები, ეძიებდნენ და ხშირად ავლენდნენ ძველ ხელნაწერებს. გაპარტახებულ, დაქვეითებულ ეკლესია-მონასტრებთან შედარებით აქ გაცილებით უკეთესი პირობები იყო წიგნების მოვლა-პატრონობისათვის. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ შემოსევა-რბევის დროს საოჯახო ბიბლიოთეკები უფრო დაცული იყო, ვიდრე ეკლესია-მონასტრები, რამაც კიდევ უფრო გაზარდა პირადი ბიბლიოთეკების მნიშვნელობა. ბევრი უნიკალური ხელნაწერი შემოინახეს ოჯახებმა და გადაარჩინეს შთამომავლობისათვის.

რეფორმამდელი პერიოდის საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარება შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ:

პირველი - საბიბლიოთეკო საქმე მთლიანად კერძო ინიციატივაზეა დამოკიდებული. მართალია, საოჯახო ბიბლიოთეკების გვერდით მცირე სასკოლო და საუწყებო ბიბლიოთეკებიც ჩნდება, დამოუკიდებელი საერთო მოხმარების ბიბლიოთეკების დაარსების პირველი ცდებიც შეიძინევა, მაგრამ ყოველივე ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ რაიმე განსაკუთრებულ როლს არ თამაშობს, სახელმწიფო არავითარ მონაწილეობას არ იღებს საბიბლიოთეკო საქმის მშენებლობაში.

ეს ეტაპი გრძელდება 40-იან წლებამდე, ვიდრე თბილისში საფუძველი არ ჩაეყარა საჯარო ბიბლიოთეკას და დასაბამი არ მიეცა ფართო საბიბლიოთეკო ქსელის შექმნას საქართველოში, რითაც იწყება სწორედ მეორე ეტაპი.



კერძო ინიციატივას ყოველთვის უპარესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მან განსაკუთრებული როლი სწორედ ამ ეპოქის პირველ ეტაპზე შეასრულა, როდესაც საზოგადოებრივი სარგებლობის საბიბლიოთეკო საქმიანობა თითქმის არც არსებობდა, როდესაც ქართველი ინტელიგენცია ქართული წიგნით რაიმე ორგანიზებული მომსახურების გარეშე იყო დარჩენილი. პირველ პერიოდში თითქოს ეროვნულ მოთხოვნილებად იქცა ამ დანაკლისის შევსება საოჯახო ბიბლიოთეკების ხარჯზე. იმ შესანიშნავმა მწიგნობრულმა ტრადიციებმა, რომლებიც ქართულ ოჯახებს ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული, ყველაზე მკვეთრად და დროულად სწორედ ახლა თქვა თავისი სიტყვა. ძველი ფეოდალური ოჯახები კიდევ უფრო აფართოებდნენ პირად ბიბლიოთეკებს და უფრო დემოკრატიულ ხასიათს ანიჭებდნენ თავიანთ ცხოვრებას. ამის ნიმუშად შეიძლება ჩიითვალოს დიდგვაროვანთა სალონები, რომლებიც ქართველი ინტელიგენციისათვის თანდათან კულტურის პატარა კერებად იქცა, განსაკუთრებით გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან.

XIX საუკუნის დასაწყისშივე საქართველოს საკმაოდ ძლიერი ეროვნული ინტელიგენცია ჰყავდა. მათ უმრავლესობას კარგი საოჯახო ბიბლიოთეკა ჰქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქართული რომანტიზმის ფუძემდებლის, ეროვნული ინტელიგენციის სულისჩამდგმელის, პოეტ ალექსანდრე ჰავეკავაძის ბიბლიოთეკა როგორც თბილისის, ისე წინანდლის სასახლეში. 1855 წ., ლექთა შემოსევებისას, წინანდლის ბიბლიოთეკა და ალ. ჰავეკავაძის პირადი არქივი ცეცხლმა გაანადგურა. სხვა წიგნებსა და ხელნაწერებთან ერთად აქ დემოკრატიული ხასიათის ლიტერატურაც უნდა ყოფილიყო.

მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა მეფის კარის ყოფილ მდივანს, შემდეგში რუსეთის მოხელეს – გიორგი თუმანიშვილს. ის დიდი მონდომებით აგროვებდა ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს, რის შედეგადაც მას უნიკალური ხელნაწერები დაუგროვდა. თუმანიშვილების ოჯახი იმ დროს საუკეთესო სალონი იყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მისი ბიბლიოთეკით ოჯახის ახლობლები და დაახლოებული პირებიც ისარგებლებდნენ [1].

ფრიად ღირსშესანიშნავი ბიბლიოთეკა გააჩნდა დაპატიმრებამდე სოლომონ დოდაშვილს. მას საერთო სარგებლობის ბიბლიოთეკის შექმნაც კი ჰქონდა გადაწყვეტილი და სურდა იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილ კოტკვას ბიბლიოთეკა შეეძინა. ს. დოდაშვილი არა მარტო ბიბლიოფილი იყო, ბიბლიოგრაფიულ საქმიანობასაც ეწეოდა. კიდევ შეადგინა ერთი ნუსხა, რის შესახებაც თავის მასწავლებელს ი. ხელაშვილს ატყობინებდა: „...შევადგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასამდე: ვისგან სად და ოდეს! და თვითოეული რას იხყრობს თვის შორისო“ [2]. ეს იყო ქართული წიგნის რეპერტუარის პირველი ცდა. სამწუხაროდ, ამ ნუსხას ჩვენამდე არ მოუღწევია.

საკმაოდ დიდი ფონდი იყო ცნობილ კალიგრაფთა ალექსი-მესხიშვილთა შთამომავლების საოჯახო ბიბლიოთეკებში. მისი ნაშთები დიდხანს შემორჩა მეგვიდრეების [3]. ამ კოლექციის ერთი ნაწილი მ. დ. ალექსი-მესხიშვილს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს [4]. ყველაზე ცნობილი იყო დავით რექტორის ბიბლიოთეკა. ასევე საკმაოდ ბევრ წიგნს ფლობდა და ინტელიგენციას კითხვაში ხელს უმართავდა ამ გვარის ცნობილი წარმომადგენელი იოელ ალექსი-მესხიშვილი, დავით რექტორის ძმისწული. ამ ბიბლიოთეკის კატალოგი გარდაცვალების შემდეგ შეუდგენია მის ძმას – ტარასის – ასევე დიდ ბიბლიოფილსა და მწიგნობარს. ამ კატალოგის არსებობაც მხოლოდ სხვა

წყაროებიდან მიღებული ცნობებით გახდა ცნობილი. თვით კატალოგს ჩვენამდე არ მოუღწევია [5].

უმდიდრესი ბიბლიოთეკა გააჩნდათ სამეგრელოს მთავრებსაც. დადიანების საგვარეულოს თავისი განშტოებებით მთელს დასავლეთ საქართველოში წამყვანი ადგილი ეკირა წიგნიერების საქმეში. დადიანთა კუთვნილი წიგნების კატალოგი ა.ცაგარელმა გამოაქვეყნა. ამ კატალოგიდან ვგებულობთ, რა უნიკალური ხელნაწერები იყო ამ თავმოყრილი [6].

XIX საუკუნის დასაწყისში ეს წიგნები სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, კარგი მწიგნობარის, დავით დადიანის ხელში იყო თავმოყრილი.

დადიანისეულ წიგნთა დიდი ნაწილი, რომელიც ნიკო დადიანს ეკუთვნოდა, სოფელ გორდში იყო მოთავსებული. 1855 წ. პატრონმა იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. ამ აქტამდე ამ წიგნების ნუსხა აკაკი წერეთელს შეუღდენია. მისი გადმოტანა საზოგადოების საცავში იმდენად დიდმნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, რომ ამ საქმის მოსაგვარებლად სამეგრელოში თვით ილია, ვასილ მაჩაბელი, იონა მეუნარგია და გრიგოლ ყიფშიძე გამგზავრებულან [7]. ეს კოლექცია 1848 წელს მარი ბროსეს გადაუსინჯავს და ზოგიერთი მანუსკრიპტიც გაურკვევია [8].

XIX საუკუნის I ნახევარში საკმაოდ დიდი წიგნადი ქონება იყო თავმოყრილი ორბელიანთა საგვარეულოში. ამ ქონების მემკვიდრეები იყვნენ ალექსანდრე, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანები.

მათ ოჯახში სისტემატურად იკრიბებოდნენ სწორედ წიგნებით დაინტერესებული ნაცნობ-მეგობრები, განსაკუთრებით მრავლად მოიპოვებოდა აქ ახალი პერიოდიკა – ჟურნალები და გაზეთები: ოჯახის უფროსი იყო ერეკლეს ასული თეკლა – გონიერი და მწიგნობარი ქალბატონი. მას არაერთი საინტერესო ხელნაწერი მოჰყვა მზითვად მეფის კარის ბიბლიოთეკიდან, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მთლიანად დაიშალა.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ბიბლიოთეკა და არქივი განიავდა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ძმები შეუღდნენ მის აღდგენას, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეძლეს. მათი გარდაცვალების შემდეგ მთელი საოჯახო ბიბლიოთეკა დაიქსაქსა [9].

საინტერესო ბიბლიოთეკას შეადგენდა ერისთავთა შთამომავლობის საოჯახო წიგნების შეკრებულობანიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რაფიელ ერისთავის ბიბლიოთეკა, რომელიც 1891 წ. პოეტმა მთლიანად შესწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას [10].

მდიდარი ფონდი გააჩნდა ელიზბარ ერისთავსაც, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ მოთავეს. აქ ინახებოდა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით ნაწერი ლექსები და მისივე ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ხანძარმა შთანთქა. [11] ასევე მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკის მფლობელი იყო კიაზო ერისთავიც. მისი ფონდების აღწერილობა ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა 1907 წელს [12].

საკმაოდ ბევრი რამ არის ცნობილი წერეთელთა გვარის წარმომადგენლების ბიბლიოთეკებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის ბიბლიოთეკა. გრიგოლ წერეთელი გატაცებული ბიბლიოფილი იყო. ის თვითონ ახდენდა წიგნების გადანუსხვას. ზოგ შემთხვევაში საკურო ხელნაწერს ცნობილ კალიგრაფებსაც გადააწერიებდა ხოლმე. გრიგოლი 1843 წ. გარდაიცვალა. ბიბლიოთეკა მის ვაჟებს – ალექსანდრესა და იოსებს გადაეცათ. ისინი ქონების დავის

საქმეში იყვნენ ჩაფლულნი, წიგნებს ვეღარ უვლიდნენ სათანადოდ და, ამგვარად, ამ ბიბლიოთეკამ სავესებით დაკარგა ის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რომელიც მას მისი პატრონის ხელში გააჩნდა [13].

არანაკლები მდიდრული ბიბლიოთეკა ჰქონდა გურიელებს, რომელიც ნათესაური კავშირის შედეგად წერეთლების ფონდებს შერეწა ნაწილობრივ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ მისი წიგნების ერთი ნაწილი გრ. გურიელს დარჩა. სწორედ ეს წიგნები ჩააბარა ამ უკანასკნელმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას [14].

მეტად ორგანიზებული, მოწესრიგებული მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკის პატრონი იყო ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პლატონ იოსელიანი. მისი მეცნიერული მოღვაწეობა, ურთიერთობა საზოგადოების მოწინავე ნაწილთან როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, განსაკუთრებულ როლს სძენდა მის ბიბლიოთეკას საზოგადოებრივი თვალსაზრისით. რუსეთში ოთხწლიანი ყოფნის დროს პ. იოსელიანი სისტემატურად სარგებლობდა როგორც ქართველ ემიგრანტთა, ისე საზოგადოებრივი ბიბლიოთეკებით. მისთვის საბიბლიოთეკო საქმიანობის პრაქტიკა უცხო არ იყო და, ამიტომაც, თავისი ბიბლიოთეკა საუკეთესოდ ჰქონდა მოწესრიგებული. იგი გამუდმებით აგროვებდა ხელნაწერებს, იძენდა ახალ-ახალ გამოცემებს, უმეტესად რუსულ ლიტერატურას.

განსაკუთრებით ნაყოფიერი ხდება მისი საქმიანობა 1838 წლიდან – მარი ბროსეს გაცნობის შემდეგ. უცხოელი მეცნიერი ეხმარებოდა მას საჭირო წიგნების მოპოვებასა და ხარვეზების შევსებაში, ამავე დროს თვითონაც ამარაგებდა საყურადღებო მასალით. საერთოდ, პ. იოსელიანი გულუხვად ეხმარებოდა სხვებს ბიბლიოთეკების შედგენა-გამდიდრებაში. მაგალითად, მან ი. გ. გრუზინსკის, რომელიც წიგნების დიდი მოყვარული იყო, 180 ხელნაწერი დაუთმო თავისი ბიბლიოთეკიდან. ის გამუდმებით მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხელნაწერების შესაგროვებლად. მ. ბროსესთან მიმოწერით ირკვევა, რომ მას 140-მდე ქართული წიგნი ჰქონდა ბიბლიოთეკაში, ამავე დროს შეუდგენია კატალოგი მთელ ფონდზე.

ერთ პერიოდში პ. იოსელიანს გადაუწყვეტია თავისი ბიბლიოთეკა რუსეთის აკადემიისათვის მიეყიდა, მაგრამ, რადგანაც აკადემიის მესვეურთ მხოლოდ შერჩევით სურდათ წიგნების შექმნა, პლატონმა საერთოდ უარი თქვა ბიბლიოთეკის გაყიდვაზე. მას არ სურდა თავისი მდიდარი კოლექციის გაფანტვა, საამისოდ კი აკადემიაზე უფრო სანდო პატრონი არ ეგულებოდა [15].

1875 წელს, პლატონ იოსელიანის გარდაცვალების შემდეგ, ეს ბიბლიოთეკა მთლიანად დაიშალა და მიმოიფანტა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით პლატონ იოსელიანის წიგნებს მემკვიდრეები ფუთობით ყიდდნენ მეწვრილმანეებზე ქალაქის ფასად. ამ წიგნებიდან რამდენიმე ფუთი მასაც შეუქმნია [16].

ამგვარად დაიქსაქსა მშვენიერი კოლექცია, რომელსაც შემდეგ დაეძებდა მოწინავე ინტელიგენცია აღსადგენად, რაც მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა. კოლექციის მცირე ნაწილი ამჟამად ჩართულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდში.

არაერთ დიდგვაროვანთა ოჯახში იყო თავმოყრილი დიდი რაოდენობით წიგნები. კარგი საოჯახო ბიბლიოთეკები ჰქონდათ გრუზინსკების [17], აბაშიძეების [18] შთამომავლებსაც.

თითქმის ყველა ინტელიგენტურ ოჯახში არსებობდა იმ დროისათვის ყველაზე აქტუალური და საინტერესო წიგნებისაგან შემდგარი რაღაც პატარა კოლექცია მაინც. ეს წვრილ-წვრილი საოჯახო ბიბლიოთეკები უდავოდ დიდ როლს ასრულებდა

ხალხში წიგნიერებისა და კულტურის გავრცელება-დანერგვის საქმეში. მათ მნიშვნელობას უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ საქართველოსათვის ეს პერიოდი ე.წ. „უბიბლიოთეკობის“ ხანა იყო, რადგანაც ჯერ კიდევ არ არსებობდა სრულყოფილად ჩამოყალიბებული სახალხო ბიბლიოთეკების ქსელი.

კერძო საოჯახო ბიბლიოთეკები, რომლებიც არისტოკრატიული წარმოშობის ქართველ დიდგვაროვანთა წარმომადგენლებს ეკუთვნოდა, საქართველოს გარეთაც მოიპოვებოდა. ბევრი ქართველი მოღვაწე, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოში არ ედგომებოდა, მთელი ოჯახით დროებით თუ სამუდამოდ რუსეთში გადადიოდა. მათ წიგნების დიდი ნაწილი იქ გადაჰქონდათ და, ამგვარად, იქ პატარა კულტურული ცენტრები იქმნებოდა ახალმოშენეთათვის. ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე იყო მეცნიერი და მწიგნობარი იონა ხელაშვილი. იგი სასულიერო პირი იყო. განათლება რუსეთში მიიღო იქ გადასახლებულ ბატონიშვილებთან ერთად. იოანე ბატონიშვილს სწორედ ის გამოჰყავს მთავარ გმირად თავის „კალმასობაში“. ი.ხელაშვილს გაეცხოველებული მიმოწერა ჰქონდა პროგრესულად მოაზროვნე მწიგნობრებთან, განსაკუთრებით სოლომონ დოდაშვილთან. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველ წვრილმანს, რაც კი წიგნთან იყო დაკავშირებული. მოითხოვდა შეგროვებულიყო ხალხში გაბნეული ყოველგვარი დოკუმენტი, ყოველი ხელნაწერი, თუნდაც უმნიშვნელო ნაწერიც კი. წიგნებთან ერთად, იგი გულმოდგინედ უყრიდა თავს საარქივო მასალასაც. სხვებსაც უზგაზენიდა გასაცნობად თუ გადასაწერად. მისი ბიბლიოთეკით შეუფერხებლად სარგებლობდნენ რუსეთში მყოფი ქართველები [19].

უმდიდრესი ბიბლიოთეკა შექმნა თავისი ცხოვრების მანძილზე თეიმურაზ ბატონიშვილმა. თუ რაოდენ მდიდარი ფონდი გააჩნდა მას, ამისათვის მისი ბიბლიოთეკის კატალოგიც საკმარისია. [20] კატალოგის აგებულება, ფორმა, სტრუქტურა, აღწერა, ანოტაცია და შედგენის მთელი კულტურა იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ინტელიგენციისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო წიგნების აღწერა-აღწესების, ანუ ბიბლიოგრაფიკის სრულყოფილი სისტემა. თანაც საგულისხმოა, რომ ეს სისტემა ითვალისწინებს ეროვნულ ტრადიციებს, რაც მას ორიგინალის პრეტენზიულობას ანიჭებს.

ამ კატალოგში აღწერილი წიგნები მხოლოდ ნაწილია იმ დიდი ბიბლიოთეკისა, რაც მემკვიდრეობით გადმოდიოდა ბაგრატიონთა კარზე და რისი წაღებაც მოხერხდა რუსეთში. აქ იყო უძველესი ხელნაწერი და ნაბეჭდი ქართული წიგნები, მაგრამ თეიმურაზი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმით, რაც მემკვიდრეობით ერგო. სისტემატურად იძენდა ახალ-ახალ წიგნებს. ამასთან ის არა მარტო იცავდა მათ, არამედ სპეციალურად ქმნიდა პირობებს მათი გამოყენებისათვის. თავად დიდი მეცნიერი და წიგნმცოდნე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა წიგნის პროპაგანდას და ზოგ შემთხვევაში მათ საჩუქრადაც კი აძლევდა უცხოელ მეცნიერებს.

არაერთ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს უსარგებლია ამ ბიბლიოთეკით. აქ უმუშავიათ: პლატონ იოსელიანს, სოლომონ დოდაშვილს, დავით ჩუბინაშვილს, სოლომონ რაზმაძეს, იოანე ბაძლიძეს, სიმონ ტაბიძესა და სხვ. [21].

თეიმურაზ ბატონიშვილს განზრახული ჰქონდა თავისი პირადი ბიბლიოთეკა სახალხო მოხმარების ბიბლიოთეკად გადაექცია. სიცოცხლეში მან ეს ვერ მოახერხა და თავის მეუღლეს დაუტოვა ანდერძად, რომ თავისი წიგნებისათვის ერთი სახლი გამოეყოს, რომლითაც ქართველები ისარგებლებდნენ. „...ჩემი ქართული წიგნები სრულად შენ დაგიდევ და თქვენ შემდგომად ჩვენს საყდარს, საცა გექმნებათ,

გამორჩევით ერთი სახლი უნდა გაუქმეთ და დააწყეთ ყოველივე წიგნები: საღმრთო, თუ საერო, რომ საქართველოს ხალხის სახმარათ იქ ეწყოს საუკუნოდ“ [22]. მისი ანდერძი ვერ შესრულდა. თეიმურაზი 1846 წ. გარდაიცვალა, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ მისი ბიბლიოთეკა მთლიანად გადაეცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო განყოფილებას. ამის შემდეგ ეს ფონდი მეცნიერთა მხოლოდ ვიწრო წრისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკა გააჩნდა გიორგი მეფის შვილიშვილს – დავით ბაგრატიონსაც. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1888 წელს, წიგნები საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის არქივმა შეიძინა [23].

განსაკუთრებით დიდი და ძლიერ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა პეტერბურგში გამოჩენილ ქართველ ლექსიკოგრაფსა და მეცნიერს ნ. ჩუბინაშვილს.

1837 წელს საქართველოში გამოგზავრებულს, მეხსიერებით სიაც კი შეუღდენია იმ ფონდისა, რომელიც თავისი ძმისწულის დავითისათვის დაუტოვებია. ამით ნათელი წარმოდგენა გვეძლევა ამ ფონდის შემადგენლობასა და სიმდიდრეზე [24].

ნ. ჩუბინაშვილს წიგნები საქართველოშიც ჰქონდა. 1843 წელს როდესაც ის პეტერბურგში დაბრუნდა, თავის ძმისწულთან უსიამოვნება მოსვლია ამ წიგნების თაობაზე, რადგანაც დავითმა ეს წიგნები მიითვისა. ნ. ჩუბინაშვილს თავისი ფონდის სრული ნუსხა ჰქონდა შედგენილი, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია. ნიკო და დავით ჩუბინაშვილების დავა იმით იყო გამოწვეული, რომ ნიკოს ბიბლიოთეკაში შერწყმული ყოფილა მისი ძმის – დავითის მამის წიგნებიც. ნ. ჩუბინაშვილი ფონდის განთავსებისათვის საჭირო ფართობის უქონლობის გამო წიგნებს სხვადასხვა ოჯახებშიც ინახავდა, რამაც გამოიწვია მისი კოლექციის შეთხლება. მისი სიკვდილის შემდეგ მთელი ეს ფონდი დავით ჩუბინაშვილს დარჩენია, რომელმაც იგი თავის ბიბლიოთეკას შეუერთა და ამით საკმაოდ დიდი ფონდი შეგროვდა მის ხელთ. ამ ბიბლიოთეკის სისტემატური აღრიცხვა მოცემული აქვს ალ. ცაგარელს [25]. ამ ფონდის შესახებ არაერთხელ დაწერილა „ივერიაში“ [26] – ქართველ საზოგადოებას აწუხებდა მისი საბოლოო ბედი [27]. განსაკუთრებით ზრუნავდა ამაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მას შემდეგ, როდესაც 1891 წელს ცნობილი გახდა დავით ჩუბინაშვილის მემკვიდრეების განზრახვა – ბიბლიოთეკა ამ საზოგადოებისათვის გადაეცათ.

საქართველოს გარეთ არსებული ქართველ მოღვაწეთა ბიბლიოთეკები, მიუხედავად აქ თავმოყრილი უმეტესად რუსული და ევროპული წიგნებისა, დიდ საქმეს აკეთებდა ქართველ მკვლევართათვის. ისინი ერთგვარად აღვივებდნენ ქართულ ინტელიგენციაში საბიბლიოთეკო საქმისადმი ინტერესს; თავიანთი ფონდითა და მიზანდასახულობით ისინი ქართული კულტურისა და მთელი სულიერი ცხოვრების ნაწილს წარმოადგენდნენ.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და რუსეთში მყოფ ქართველებს შორის ფართოდ იყო გავრცელებული საოჯახო ბიბლიოთეკები; საქართველოში თითქმის არც ერთი კუთხე არ იყო დარჩენილი, სადაც კერძო ინიციატივით არ არსებულყო პატარა საბიბლიოთეკო ცენტრი ამა თუ იმ შეძლებული ოჯახის პირადი ბიბლიოთეკის სახით. ეს ბიბლიოთეკები, როგორც დემოკრატიული სულიკვთებითაც არ უნდა ყოფილიყვნენ მათი მფლობელები, მისაწვდომი იყო მხოლოდ საზოგადოების მაღალი ფენის მცირე ნაწილისათვის და მათ ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მისიის შესრულება არ შეეძლოთ. მიუხედავად ამისა, იშვიათი წიგნების გამოვლენისა და თავმოყრის, მათი დაცვის, შეგროვების თვალსაზრისით, აგრეთვე, ქართველ ხალხში კულტურული, წიგნური მოთხოვნების

ჩამოყალიბებისა და საბიბლიოთეკო მომსახურების ინტერესის გაღვივების საქმეში, მათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

(შემოვიდა 14.7.1995)

ИСТОРИЯ

Н.А.Гургенидзе

## Частные библиотеки Грузии как очаги культуры

Р э з ю м е

Библиотечное дело в Грузии имеет многовековую историю. К концу XVIII века упадок культурного уровня достиг своего предела. Закончился первый период истории библиотек Грузии и начался второй, продолжавшийся до проведения крестьянской реформы Грузии. Монастырские библиотеки фактически прекратили существование, царская библиотека бесследно исчезла, вся тяжесть культурной деятельности легла на аристократические семьи. Усиливаются личные библиотеки. В их числе выделяются семейные библиотеки царевича Теймураза, Платона Иоселиани, князей Дадиани, Церетели, В.Орбелиани и других. Положение в какой-то степени меняется после крестьянской реформы. Создаются школы, открываются первые народные библиотеки.

HISTORY

N. Gurgeni dze

## Private Libraries in Georgia, as Cultural Centres

S u m m a r y

Libraries in Georgia have a century-old history. The decline reached its lowest point by the end of the 18th century. One major period in the history of Georgian libraries ended and a second stage commenced, lasting till the land reform. Monastic libraries actually stopped their existence, the royal library has been disappeared without a trace. The whole burden of cultural and library activity devolved on aristocratic families. Private libraries gained in size and importance. In this respect there can be distinguished the family libraries of Teimuraz Batonishvili, Platon Ioseliani, the Adianis, the Tseretelis, V.Orbeliani and others. The situation changed after the land reform. Some schools and first popular libraries were opened.

### ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. გ.მიქაძე. გიორგი თუმანიშვილი. - წიგნში: ძველი ქართული მწერლობის საკითხები. კრებული პირველი. თბილისი, 1962, გვ.38.
2. სოლომონ დოდაშვილი. თბზულებანი. თბილისი, 1961, გვ.15.
3. „დროება“, 1883, №175.
4. „ივერია“, 1888, №236, 238, 239, 240, 254.

5. გ.გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ-2. თბილისი, 1970, გვ.413-414.
6. *А.А.Цагарели*. Сведения о памятниках грузинской письменности. Т. 1., вып.3. Спб., 1894, с.102-148.
7. „დროება“, 1872, №6; 1884, №117; 1885, №60, 72; „ივერია“, 1885, №12, გვ.89-97.
8. „დროება“, 1891, №85.
9. გ.გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ-1. თბილისი, 1935, გვ.65,152.
10. მ.ჭანაშვილი. წერილი რედაქციის მიმართ. – „ივერია“, 1891, №165.
11. ი.ლოლაშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა. თბილისი, 1968, გვ.83-84.
12. ე.თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი 1. თბილისი, 1907, გვ. 273-296.
13. „დროება“, 1871, №28; 1873, №20; 1875, №79; 1884, №117; ი.ხოტეველი. საბიბლიოგრაფიო წერილი. – „ივერია“, 1889, №138.
14. „ივერია“, 1887, №138; ე.თაყაიშვილი. წერილი რედაქციის მიმართ. – „ივერია“, 1891, №89, 229; ი.ხოტეველი. საბიბლიოგრაფიო წერილი. – „ივერია“, 1889, №138.
15. პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი. – შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. წიგნი 1. ბათუმი, 1941, გვ. 156; ა.ლორია, ნ.გურგენიძე. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში (1921 წლამდე). თბილისი, 1974, 159-164.
16. „ივერია“, 1888, №198; „კვალი“ 1884, №12, გვ.4; ზ.ქიქინაძე, პლატონ იოსელიანი. თბილისი, 1893, გვ.23.
17. *А.А.Цагарели*. Сведения о памятниках грузинской письменности. Т.1, вып.3. Спб., 1894, с.188,238; „დროება“, 1880, №212.
18. „კვალი“, 1895, №27, გვ.3.
19. ს.დოდაშვილი. თხზულებანი. თბილისი, 1961, გვ. 387-388. კომენტარები იხ.: ა.ლორია, ნ.გურგენიძე. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში (1921 წლამდე). თბილისი, 1974, გვ.165-166.
20. თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი. დამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს.იორდანიშვილმა. თბილისი, 1948; აგრეთვე: – გ.შარაძე. თეიმურაზ ბატონიშვილი. ცხოვრება. თბილისი, 1972.
21. პ.კარბელაშვილი. თეიმურაზ ბატონიშვილი. – „საქართველო“, 1916, №146.
22. თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი. დამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს.იორდანიშვილმა. თბ., 1948, გვ. IV.
23. *А.А.Цагарели*. Сведения о памятниках грузинской письменности. Т.1. вып.3. Спб., 1894, с.248-251.
24. იქვე.
25. იქვე., 102-148.
26. „ივერია“, 1891, №192, 242; 1892, №177.
27. „მწყემსი“, 1892, №2, გვ.11-12.

გ. ახვლედიანი

## მცირე განმარტება ანარქისტული მოძღვრების საფუძვლებთან დაკავშირებით

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ლორთქიფანიძემ 24.12.1992)

ცნობილია, რომ ანარქისტული მოძღვრების მწყობრი და ჩამოყალიბებული, შესაბამისი ფილოსოფიით გამაგრებული „კლასიკური პერიოდი“ XIX საუკუნის მეორე ნახევარია, მაგრამ, როგორც ყოველ მოძღვრებას, მასაც, უთუოდ, წარსულში აქვს გადგმული ფესვები.

ამდენად, ანარქიზმის თეორიითა უკან შესაძლოა იდგეს სხვადასხვა დროსა და ეპოქაში მარცვალ-მარცვალ მოკრეფილი აზრები, რომელთა გამომთქმელნიც, რა თქმა უნდა, არც კი ექვობდნენ, რომ მათ ანარქიზმის შესაძირკვლეზად წარმოაჩენდნენ.

ანარქიზმის წინამორბედებად, ჩვეულებრივ, ასახვლებენ სერ თომას მორს, პასტორ უილიამ გოდვინს, რობერტ ოუენს და სხვებს, რომელთა თზზულებზშიც აშკარაა „თავისუფალი ადამიანისკენ“ სწრაფვა.

მკვლევარ-ისტორიკოსთა შეზედულებანი თუ კლასიფიკაციები ამ საკითზებთან დაკავშირებით მეტად ჭრელი და ტვეადია, თუმცა, მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ ყურადღება გაგვემაზვილებინა ერთ-ერთ მათგანზე.

ანარქიზმის ძირების ჩზრეკა ზოგან იქამდეც კი მივიდა, რომ მისი ფესვები ლამის სამყაროს შექმნას დაუკავშირეს. მეტად ნიშანდობლივია მაგალითი, რომელსაც ჭვემთ განვიხილავთ.

თავის დროზე მეტად პოპულარული ისტორიკოსი, მოსკოველი პროფესორი სოლომონ ლურიე დიდად გაიტაცა ანარქიზმის არქაული ნაღვეების ძიებაზ. ლურიე ანტიკური ხანის ისტორიის სპეციალისტი იყო და ანარქიზმის ფესვების ჩზრეკა თავის საყვარელ ეპოქაში დაიწყო. 20-იანი წლების მოსკოვში ჭერ კიდევ არსებობდა ანარქისტული გამომცემლობა „გოლოს ტრუდა“, რომელსაც აზბოროვოი ხელმძღვანელობდა. ამ გამომცემლობაზ 1925-26 წლებში დასტამბა ლურიეს ორი თზზულება: „ანტიფონტი-უძველესი ანარქისტული სისტემის შემოქმედი“ და „ანარქიზმის წინაპირობანი ძველ მსოფლიოში“.

ლურიე, ხსენებულ ნაშრომებში, აყალიბებდა საკმაოდ ზედაპირულ შეზედულებებს და ლამის ძველ ეგვიპტეში არწევდა ანარქიზმის აკვანს. ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს მისი კონცეფცია ანარქისტული მოძრაობების შესახებ ძველ რომში, პალესტინასა და ეგვიპტეში.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლურიეს ჰქონდა გარკვეული ხელჩასაკიდი მასალები, მაგრამ, მათი, როგორც ე.წ. „ანტიკური ანარქიზმის“ არსებობის მტკიცებათა ფაქტების წარმოდგენა, ყოვლად შეუძლებელია.

თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაზ ფაქტობრივად ნათელი მოჭვინა ანარქიზმის საფუძვლების შესწავლის საკითხს. ამიტომ, შესაძლოა არც ღირდეს უკვე



დამტკიცებულის ხელახლა მტკიცება, მაგრამ, აუცილებელია აღვნიშნოთ, ლურიეს შეხედულებებს და მის მემკვიდრეობას საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ დღევანდელი რუსი ავტორები.

დავუბრუნდეთ ანარქიზმს.

ლურიეს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ანტიფონტი.

ანტიფონტი - ძვ.წ. V-IV საუკუნეების ბერძენი ფილოსოფოსი, სოფისტი იყო. ის სიბრძნისა და მჭერმეტყველების პროფესიონალი მასწავლებელი გახლდათ და, როგორც სოფისტი, ასწავლიდა საკუთარ შეხედულებათა მტკიცედ და შეურყევლად დაცვას [1].

ლურიე იყენებს ანტიფონტის ზენამდე მოღწეულ თხზულებათა ფრაგმენტებს, რომლებშიც გაბნეულია ხსენებული ფილოსოფოსის შეხედულებანი საბუნებისმეტყველო, იურიდიულ თუ ფილოსოფიურ საკითხებზე [2].

ანტიფონტის შეხედულებათა სწორად გაგებისათვის და ასევე იმისთვის, რომ დავინახოთ ლურიეს მთავარი შეცდომა მასთან მიმართებაში, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რას გულისხმობს სოფისტური სკოლის ეს წარმომადგენელი თავის თხზულებებში მიმოფანტულ აზრებში. ლურიე განიხილავს ანტიფონტის მემკვიდრეობას და ყურადღებას არ აქცევს სოფისტური მსოფლალქმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს - ბუნების, როგორც შედარებით მუდმივი ელემენტის დაპირისპირებას საზოგადოებრივ კანონებთან და რჯულდებებთან, როგორც ცვალებად და თავისუფლად წარმოქმნილ ფაქტორებთან. ანტიფონტის ფილოსოფიის ძირი სწორედ ამაში ძვეს და ანარქიზმი აქ არაფერშუაშია. ლურიეს აზრი, რომ ანტიფონტის განსჯანი სასამართლოს, როგორც მჩაგვრელი აპარატის შესახებ და ასევე სახელმწიფო მმართველობის სისტემის კრიტიკა, თანამედროვე მეცნიერებასთან აახლოებს მას, ნაკლებად დამაჭერებელია. დიახ, ანტიფონტი ამბობს, რომ ყველაფერი, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი ხელოვნურია, რომ სახელმწიფო ზღუდავს პიროვნებას და რომ კანონები იმიტომ უნდა დაიკვა, რომ არ დაისაჯო, რომ მსოფლიოს ხალხებს შორის განსხვავებები არ არსებობს და მდიდრები არაფრით სჯობიან ღარიბებს [2].

ყოველივე ამის დასამტკიცებლად ის მოიხმობდა ბუნებას, ყველაფერ იმას, რაც ბუნებრივია.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული არ შეადგენს ანარქიზმის კლასიკური გაგების ერთ პროცენტსაც კი. ანტიფონტს არსად აღუნიშნავს, რომ სახელმწიფო უნდა მოისპოს, მით უმეტეს, მას არ დაუსახავს ამის გზები და საშუალებები [2].

იგი სრული პირადი თავისუფლების მისაღწევ საშუალებას სახელმწიფოს მოსპობით კი არა, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი აპარატის სრულყოფილ დაუფლებაში ხედავს [1]. ნიშანდობლივია ასეთი ფაქტიც: „...Учениками Антифонты были Критий и Алкибиад, практические политические деятели, в целях личного могущества бросившие вызов афинской государственности и дерзко поставившие себя вне закона“ [3].

ანტიფონტი სოფისტია, ის მეცნიერი და ფილოსოფოსია, მის სახელმწიფო-სამართლებრივ ძიებათა მთავარი შედეგი არის მტკიცება ახალი ტიპის მმართველობის შემოღებისა, რომელსაც უნდა ახორციელებდეს ძლიერი პიროვნება და არა ათენური სახელმწიფოს აპარატი.

ანტიფონტის (და ანტიკური ეპოქის სხვა მოაზროვნეთა) თხზულებებით შეუძლებელია ანარქიზმის ერის დაწყება. ძალზე მკრთალი და შორეული მსგავსება

ანტიფონტის გამონათქვამებსა და ანარქიზმის დოგმებს შორის ვერ დაგვარწმუნებს იმაში, რომ ანტიფონტი მსოფლიო ანარქიზმის პიონერია. თვით ლურიეს ამის საწინააღმდეგო მრავალი ფაქტი მოჰყავს თავის წიგნში, მაგრამ იგნორირებს მათ და თავის ექსცენტრულ კონცეფციას აკოწიწებს.

იმავე 20-იანი წლების საბჭოთა ავტორთა რიგი, ანტიფონტის და სხვა ანტიკური ხანის მოღვაწეთა ნააზრევს არ მიიჩნევს მწყობრი ანარქისტული სისტემის შემომღებად, თუმცაღა თვლის, რომ ანტიკურ ფილოსოფიაში იყო ცალკეული ელემენტები ანარქისტული მიმართულებისა [4], რაც უდავოდ უფრო მართებულია, ვიდრე ლურიეს შეხედულებანი.

ამ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ საკმაოდ აქტიური სოციალური მუხტი, რომელიც ყოველ ეპოქას თავისებური აქვს. უნდა გავითვალისწინოთ ბევრი სხვა ფაქტორიც, მათ შორის, რა თქმა უნდა, პოლიტიკურიც. სოციალურ საკითხთა სიმწვავე, სტრუქტურები, რომელთა დახვეწილობა თუ დაუხვეწაობა დიდ გავლენას ახდენს და ხშირ შემთხვევაში შობს კიდევ გარკვეულ სოციალ-ფილოსოფიურ რადიკალიზმს, უკვე ნახსენები ეპოქისათვის არ შეიძლება ჩავთვალოთ იმგვარ აქტიურ ელემენტად, რომელიც შობდა იმგვარ რადიკალურ იდეას, როგორც ანარქიზმი, რადგან ვერ პორიზონტზე არ ჩანდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანარქიზმის წინანისტორიაც კი.

ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ანარქისტული მოძღვრების მეტ-ნაკლებად ტევადი საფუძველი ჩაყრილ იქნა სწორედ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ წლებში. აღიარებულია, რომ ბიძგი ანარქიზმის შობისა გახლდათ, სხვა ფაქტორებთან ერთად, ინგლისელი პასტორი უილიამ გოდვინი, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის პოპულარული მოღვაწე, რომლის წიგნიც, „გამოკვლევა პოლიტიკური სამართლიანობის შესახებ“ 1793 წელს, საფრანგეთის რევოლუციის ყველაზე მეტად სისხლიან ხანაში გამოვიდა. პასტორის წიგნში ლაპარაკი იყო სახელმწიფოს, როგორც ადამიანთა ყოფის მოდელის უვარგისობაზე, მისი გაუქმების აუცილებლობასა და ე.წ. სამრევლო კავშირების შექმნაზე, რომელთა სტრუქტურაც, რა თქმა უნდა, რელიგიისგან თავისუფალი ანარქისტთათვის საოცნებო მუშათა თავისუფალი კავშირების წინააღმდეგ შეიძლება მივიჩნიოთ.

პირველი სერიოზული ნიშანი მეზარძოლი ანარქიზმისა ევროპაში მაშინ გაჩნდა, როცა ანტიფონტი ოცდაორი საუკუნის გარდაცვლილი იყო. მისი ფესვები თუმცა ბევრად ახლოა, მაინც შეუდარებლად ღრმაა ვიდრე ანტიკურ ეპოქაში ნაქმნი პიონერის ანარქისტობისა.

ანარქიზმის აკვანი, მიუხედავად წარსულში მიმობნეული ორიოდ მარცვლისა, მაინც ახალი ევროპაა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ანარქიზმი ითხოვს იმას, რისი მოთხოვნაც მხოლოდ კაპიტალისტური ურთიერთობების დროსაა მოსალოდნელი.

ანტიფონტი ვერ შექმნიდა ანარქისტული მოძღვრების ვერანაირ საფუძველს თუნდაც იმის გამო, რომ საზოგადოება, რომელშიც იგი მოღვაწეობდა, ვერ აღიქვამდა სახელმწიფოს მოსპობის იდეას.

ი.ჭავჭავაძის სახ. თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

(შემოვიდა 8.02.1993)

Г. Ахвледiani

## По поводу основ анархизма

Резюме

В статье рассмотрена одна ошибочная гипотеза, которую в 20-е гг. довольно широко популяризировали некоторые советские ученые. В гипотезе дается попытка представить основой анархистского учения взгляды некоторых малоизвестных античных ученых. Показана маловероятность указанной гипотезы.

HISTORY

G. Akhwlediani

## About the Basis of Anarchism

Summary

A certain false hypothesis, which was popularized by some Soviet scientists in the 20-ies is considered in the article. In this hypothesis there is given an attempt to present opinions of some ancient scholars as the basis for anarchic theories. The hypothesis is criticized by the author.

### ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Философы прошлого. С.-П., 1901.
2. *Антифонт*. Об истине. М., 1924.
3. *С.Лурие*. Антифонт - творец древнейшей анархистской системы. М., 1925.
4. *В.Залежский*. Анархисты в России. М., 1930.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის  
ულოცავს

დაბადების მე-80 წლისთავს

მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოსს

**ანდრია ავაქიძეს,**

აკადემიკოსებს

**ნინო ჯავახიშვილს და გიორგი ზოლოზვილს,**

დაბადების 70-ე წლისთავს აკადემიკოსებს

**ანა კალანდაძეს და გიორგი გიგაურს,**

დაბადების მე-60 წლისთავს აკადემიის წევრ-კორესპონდენტს

**გური ცაგარეიშვილს.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი  
და ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1995 წლის 7 დეკემბერი

ქ. თბილისი

№ 96

ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის მოამბის“ ქართულ და ინგლი-  
სურ ენებზე ბეჭდვის შესახებ

პრეზიდიუმი ადგენს:

1. 1996 წლიდან ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
„მოამბეში“ სტატიები დაიბეჭდოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. 1996 წლის 1 იანვრიდან ჟურნალ „მოამბეში“ დასაბეჭდად  
სტატიები ავტორებმა წარმოადგინონ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდენტი, აკად.

ა.თაყვალაძე

საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკად.

ლ.გაბუნია

## ავტორთა საყურადღებოდ

1. ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის მოამბეში“ ქვეყნდება აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა, აკადემიის სისტემაში მომუშავე და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომლებიც შეიცავს ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჯერ გამოუქვეყნებულ შედეგებს. წერილები ქვეყნდება მხოლოდ იმ სამეცნიერო დარგებიდან, რომელთა ნომენკლატურული სია დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2. „მოამბეში“ არ შეიძლება გამოქვეყნდეს პოლემიკური წერილი, აგრეთვე მიმოხილვითი ან აღწერითი ხასიათის წერილი ცხოველთა, მცენარეთა ან სხვათა სისტემატიკაზე, თუ მასში მოცემული არაა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო შედეგები.

3. საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წერილები უშუალოდ გადაეცემა გამოსაქვეყნებლად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორთა წერილები ქვეყნდება აკადემიკოსთა ან წევრ-კორესპონდენტთა წარდგინებით. როგორც წესი, აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს „მოამბეში“ დასაბეჭდად წელაწინაში შეუძლია წარმოადგინოს სხვა ავტორთა არა უმეტეს ერთი წერილისა თითოეულ ნომერში (მხოლოდ თავისი სპეციალობის მიხედვით). საკუთარი – რამდენიც სურს, ხოლო თანავტორებთან ერთად – არა უმეტეს სამი წერილისა. გამონაკლის შემთხვევაში, როცა აკადემიკოსი ან წევრ-კორესპონდენტი მოითხოვს მეტი წერილის წარდგენას, საკითხს წყვეტს მთავარი რედაქტორი. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია წარსადგინად გადასცემს აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს. ერთსა და იმავე ავტორს (გარდა აკადემიკოსისა და წევრ-კორესპონდენტისა) შეუძლია „მოამბეში“ გამოაქვეყნოს არა უმეტეს სამი წერილისა (სულ ერთია, თანავტორებთან იქნება იგი, თუ ცალკე).

4. წერილს აუცილებლად უნდა ახლდეს ჟურნალ „მოამბის“ რედაქციის სახელზე იმ სამეცნიერო დაწესებულების მომართვა, სადაც შესრულებულია ავტორის სამუშაო.

5. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბეჭდად სავსებით მზა სახით ქართულ და ინგლისურ ენებზე ორ-ორ ცალად. წერილის მოცულობა ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურის ნუსხითურთ, რომელიც მას ბოლოში ერთვს, არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის 4 გვერდს (8000 სასტამბო ნიშანი), ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით გადაწერილ 6 სტანდარტულ გვერდს (ფორმულებიანი წერილი კი – 5 გვერდს). არ შეიძლება წერილების ნაწილებად დაყოფა სხვადასხვა ნომერში გამოსაქვეყნებლად. ავტორისაგან რედაქცია ღებულაზს თვეში მხოლოდ ერთ წერილს.

6. იმის გამო, რომ ამიერიდან ჟურნალის სტატიები იწყობა კო მპიუტერზე, რედაქციისათვის უმჯობესია, თუ შრომა წარმოდგენილი იქნება დისკეტაზე ჩაწერილი ფაილის სახით. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა, რომ ავტორებმა საკონსულტაციოდ მიმართონ რედაქციას.

7. აკადემიკოსთა ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება რედაქციის სახელზე დაწერილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე წარდგინების თარიღის აღნიშვნით. მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რა არის ახალი წერილი, რა მეცნიერულ დირებულეა აქვს მას და რამდენად უპასუხებს ამ წესების I მუხლის მოთხოვნას.

8. წერილი არ უნდა იყოს გადატვირთული შესავლით, მიმოხილვით, ცხრილებით, ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურით. მასში მთავარი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი საკუთარი გამოკვლევის შედეგებს. თუ წერილში გზადაგზა, ქვეთავების მიხედვით გადმოცემულია დსკენები, მაშინ საჭირო არაა მათი გამეორება წერილის ბოლოს.

9. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დაიწეროს ავტორის (ავტორთა) ინიციალები და გვარი (გვარები), ქვემოთ – წერილის სათაური. ზემოთ მარჯვენა მხარეს იწერება მეცნიერების დარგი, რომელსაც განეკუთვნება წერილი. ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს აღინიშნება იმ დაწესებულების სრული დასახელება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

10. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ცალად კონვერტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს შავი ტუშით. წარწერები ნახაზებს უნდა

გაუკეთდეს კალიგრაფიულად და ისეთი ზომისა, რომ შემცირების შემთხვევაშიც კარგად იკითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემო წარწერების ტექსტი წერილის ძირითადი ტექსტის ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე. არ შეიძლება ფოტოებისა და ნახაზების დაწევა ღედნის გვერდებზე. ავტორმა ღედნის კიდეზე ფანქრით უნდა აღნიშნოს რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისეთი ცხრილი, რომელიც ჟურნალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები მელნით მკაფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე ვგზემპლარში. ბერძნულ ასოებს ქვემოთ ყველგან უნდა გაესვას თითო ხაზი წითელი ფანქრით, მთავრულ ასოებს – ქვემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით, ხოლო არამთავრულ ასოებს – ზემოთ ორ-ორი პატარა შავი ხაზი. ფანქრითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწიტი ნიშნაკებიც (ინდექსები და ხარისხის მაჩვენებლები).

11. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საჭიროა დაცულ იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი, თუ დამოწმებულია საქრნალო შრომა, ვუჩვენოთ ჟურნალის შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვუჩვენოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერაციაც უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში ევადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება. დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშაობს და რა თანამდებობაზე, უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

12. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებად შეკრული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით – არაუმეტეს ორი დღისა. თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

(დამტკიცებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 10.10.1968; შეტანილია ცვლილებები 6.2.1969, 15.4.1994 და 7.12.1995)

რედაქციის მისამართი: 380008 თბილისი-8, რუსთაველის პროსპ. 52, ოთახი № 433, ტელ. 99-75-93.

## К сведению авторов

1. В журнале „Сообщения АН Грузии“ публикуются статьи академиков и членов-корреспондентов, научных работников системы Академии и других ученых, содержащие еще не опубликованные новые значительные результаты исследований. Печатаются статьи лишь из тех областей науки, номенклатурный список которых утвержден Президиумом АН Грузии.

2. В „Сообщениях“ не могут публиковаться полемические статьи, а также статьи обзорного или описательного характера по систематике животных, растений и т.п., если в них не представлены особенно интересные научные результаты.

3. Статьи академиков и членов-корреспондентов АН Грузии принимаются непосредственно в редакции „Сообщений“, статьи же других авторов представляются академиком или членом-корреспондентом АН Грузии. Как правило, академик или член-корреспондент может представить для опубликования в „Сообщениях“ не более одной статьи разных авторов в каждый номер (только по своей специальности), собственные статьи – без ограничения, а с соавторами – не более трех в течение года. В исключительных случаях, когда академик или член-корреспондент требует представления большего числа статей, вопрос решает главный редактор. Статьи, поступившие без представления, передаются редакцией академику или члену-корреспонденту для представления. Один и тот же автор (за исключением академиков и членов-корреспондентов) может опубликовать в „Сообщениях“ не более трех статей (в соавторстве или без) в течение года.

4. Статья обязательно должна иметь направление из научного учреждения, где выполнена работа, на имя редакции „Сообщений АН Грузии“.

5. Статья должна быть представлена автором в готовом для печати виде, по два экземпляра на грузинском и английском языках. Объем статьи, включая иллюстрации и список цитируемой литературы, приводимый в конце статьи, не должен превышать четырех страниц журнала (8000 типографских знаков), или шести стандартных страниц машинописного текста, отпечатанного через два интервала (статья же с формулами – пяти страниц). Представление статьи по частям (для опубликования в разных номерах) не допускается. Редакция принимает от автора в месяц только одну статью.

6. Ввиду того, что журнальные статьи набираются на компьютере, для редакции желательно, чтобы тексты были представлены в виде файла на дискете. Для этого авторам необходимо обратиться в редакцию для получения консультаций.

7. Представление академика или члена-корреспондента на имя редакции должно быть напечатано на отдельном листе с указанием даты представления. В нем необходимо указать новизну и научную ценность результатов, а также соответствие статьи требованиям пункта 1 настоящего положения.

8. Статья не должна быть перегружена введением, обзором, таблицами, иллюстрациями и цитированной литературой. Основное место в ней должно быть отведено результатам собственных исследований. Если по ходу изложения в статье сформулированы выводы, не следует повторять их в конце статьи.

9. Статья оформляется следующим образом: сверху страницы, в середине, пишутся инициалы и фамилия автора, затем – название статьи; справа, сверху, представляющий указывает принадлежность статьи к области науки. В конце основного текста статьи, с левой стороны, автор указывает полное название и местонахождение учреждения, где выполнена данная работа.

10. Иллюстрации и чертежи должны быть представлены в двух экземплярах в конверте, чертежи должны быть выполнены черной тушью. Надписи на чертежах



n 10/12

должны быть выполнены каллиграфически в таких размерах, чтобы даже при уменьшении они оставались отчетливыми. Подписи к рисункам, сделанные на языке основного текста, должны быть представлены на отдельном листе. Не следует приклеивать фото и чертежи к листам оригинала. На полях оригинала автор отмечает карандашом место расположения иллюстраций. Не должны представляться таблицы, которые не могут уместиться на одной странице журнала. Формулы должны быть четко вписаны чернилами в оба экземпляра текста. Под греческими буквами проводится одна черта красным карандашом, под прописными – две черты черным карандашом, над строчными – также две черты черным карандашом сверху. Карандашом, полукругом, должны быть обведены индексы и показатели степени. Резюме представляются на отдельных листах. В статье не должно быть исправлений и дополнений карандашом или чернилами.

11. Список цитированной литературы должен быть отпечатан на отдельном листе в следующем порядке. Вначале пишутся инициалы, а затем – фамилия автора. Если цитирована журнальная работа, указываются сокращенное название журнала, том, номер, год издания. Если автор считает необходимым, можно указать и соответствующие страницы. Список цитированной литературы приводится не по алфавиту, а в порядке цитирования в статье. При ссылке на литературу в тексте или в сносках номер цитируемой работы помещается в квадратные скобки. Не допускается вносить в список цитированной литературы работы, не упомянутые в тексте. Не допускается также цитирование неопубликованных работ. В конце статьи, после списка цитированной литературы, автор должен подписаться и указать место работы, занимаемую должность, точный домашний адрес и номер телефона.

12. Автору направляется корректура статьи в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку, редакция вправе приостановить печатание статьи или напечатать ее без визы автора.

(Утверждено Президиумом Академии наук  
Грузии 10.10.1968; внесены изменения 6.02.1969,  
15.04.1994 и 7.12.1995)

Адрес редакции: 380008, Тбилиси-8, пр. Руставели 52,  
комната 433, телефон: 99-75-93

ИНДЕКС 76181

